ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში						
საქონლით ვაჭრობა						
საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი I ეროვნული რეჟიმი და საქონლისათვის ბაზრის ხელმისაწვდომობა	საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება მათი ტრანსპორტირების სახეობების ჭრილში	სხვა	საგარეო ვაჭრობის მონაცემები მუშავდება საქონლის ტრანსპორტირების სახეობების მიხედვით	სტატისტიკური მონაცემები საქონლის ტრანსპორტირების სახეობების მიხედვით	სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური	2017 წლის თებერვლიდან, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები მუშავდება და ვრცელდება ტრანსპორტირების სახეობების მიხედვით. განხორციელდა 2016 წლის შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებაც.
საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV	EEN-თან (Enterprise Europe Network) თანამშრომლობის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	საერთაშორისო თანამშრომლობა	ახალი ბიზნეს კავშირების დამყარების ხელშეწყობა ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბიზნეს წარმომადგენლებს შორის	ახალი ბიზნეს კავშირების რაოდენობა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ-მა „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, პროგრამის EU4busisness ფარგლებში, განახორციელეს ევროპის მეწარმეთა ქსელის სერვისების განვითარებისა და უნარების გაღრმავებისათვის საჭირო ღონისძიებები. ევროპის მეწარმეთა ქსელის (EEN-ის) პოპულარიზაციისა და შესაძლებლობათა ზრდის მიზნით. პროექტის ფარგლებში სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ-ის „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ორმა თანამშრომელმა 2017 წელს გაიარა, ერთკვირიანი სასწავლო კურსი გერმანიაში. პროექტის ფარგლებში 2017 წლის 18 მაისში, გაიმართა ევროპის მეწარმეთა ქსელის საინფორმაციო დღე საქართველოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მა მეწარმემ. ღონისძიება მიზნად ისახავდა ევროპის მეწარმეთა ქსელისა და მისი შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდას. 2017 წლის 19 მაისს, მოწვეულმა გერმანელმა ექსპერტმა უნარების გაუმჯობესების მიზნით, ერთდღიანი ტრენინგი ჩაუტარა ევროპის მეწარმეთა ქსელის ადგილობრივ თანამშრომლებს, სადაც მან მონაწილეებს გაუზიარა ცოდნა და გამოცდილება საქართველოში ევროპის მეწარმეთა ქსელის სერვისების უკეთ გამოყენების სფეროში. EEN-ის პროექტის ფარგლებში სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, გაფორმდა ორი საპარტნიორო შეთანხმება დაფნის ექსპორტთან და სამედიცინო სპეც-ტანსაცმლის იმპორტთან

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						დაკავშირებით ქართულ კომპანიებსა და ევროპის მეწარმეთა ქსელში დარეგისტრირებულ კომპანიებს შორის. 2017 წლის განმავლობაში ოთხი ქართული კომპანიის წინადადება განთავსდა ევროპის მეწარმეთა ქსელში (EEN). 2017 წლის ოქტომბერში, ორმა ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ქ. კიოლნში ჩატარებულ პრე-ანუგა B2B საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელიც ევროპის მეწარმეთა ქსელში დარეგისტრირებულ კომპანიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით იმართება. 2017 წლის ოქტომბერში ასევე, EEN (ევროპის მეწარმეთა ქსელი) საქართველოს კონსორციუმში გაწევრიანდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.
	სავაჭრო გამოფენებში და მისიებში ქართველი ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა	საერთაშორისო თანამშრომლობა	ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია და ახალი ბიზნეს-კონტაქტების დამყარება ბაზრის დივერსიფიკაციის მიზნით	სავაჭრო გამოფენებში და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	სსიპ „აწარმოე საქართველოში“ აქტიურად განაგრძობს საერთაშორისო გამოფენებზე ქართული სტენდების განთავსების ღონისძიებებს. 2017 წლის განმავლობაში, სააგენტომ შესაძლებლობა მისცა 94 ქართულ ექსპორტიორ კომპანიას მონაწილეობა მიეღო ისეთ საერთაშორისო გამოფენებში, როგორიც არის Gulf food (ქ. დუბაი, არაბთა გაერთიანებული ემირატები), Foodex (ტოკიო, იაპონია), Hofex (ჰონგ-კონგი), LineaPelle (იტალია), სავაჭრო მისია გერმანიაში, CIFIT (China International Fair for Investment & Trade) (ჩინეთი), Anuga (ქ. კელნი, გერმანია)
	სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური დახმარების პროექტების განხორციელება	სხვა	ახალი საწარმოების შექმნისა და უკვე არსებული საწარმოების გადაიარაღების / გაფართოების ხელშეწყობა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით	მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	2017 წლის მონაცემებით, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, დამატებით 86-მა კომპანიამ მიიღო თანადაფინანსება. შედეგად, შეიქმნა დამატებით 2,900 ახალი სამუშაო ადგილი. პროექტებზე გაცემული სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 115,7 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური ინვესტიცია - 256.7 მილიონ ლარს.
	მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბიზნეს მომსახურების ცენტრის განვითარება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს	სხვა	მომსახურების ცენტრის დახმარებით DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების/	წინა წელთან შედარებით სულ მცირე 30%-ით გაზრდილი ბენეფიციარების	სსიპ - აწარმოე საქართველოში	2017 წლის დასაწყისში სააგენტომ მიზნად დაისახა 280-300 მეწარმისთვის DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. 2017 წლის დეკემბრის ბოლოსთვის არსებული მონაცემების თანახმად, სააგენტოს 305-მა ბენეფიციარმა მიიღო კონსულტაცია DCFTA-ს შესახებ, მათ შორის: - 195-მა ბენეფიციარმა მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული შეხვედრებისა და ტრენინგების ფარგლებში;

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სხვა აქტივობებთან დაკავშირებით		ვალდებულებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული მეწარმეების გაზრდილი რაოდენობა	რაოდენობა, რომლებსაც გაეწიათ კონსულტაცია DCFTA-სთან დაკავშირებით		- 50-მა ბენეფიციარმა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან ერთად გამართულ შეხვედრების ფარგლებში გორში, ქუთაისში, რუსთავში და ზუგდიდში; - 60-მა ბენეფიციარმა 2017 წლის მაისში ევროპის მეწარმეთა ქსელის (EEN) საინფორმაციო დღის ფარგლებში.
	მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment – TNA)	სხვა	TNA-ის პროექტის განხორციელება პრიორიტეტულ სექტორებში	მომზადებული კვლევების რაოდენობა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	2017 წელს ევროპის საგანმანათლებლო ფონდის (ETF) მხარდაჭერით, განხორციელდა ტრენინგის საჭიროებათა შეფასება (TNA) შემდეგ ორ სექტორში: სასტუმრო მომსახურება და შესაფუთი მასალების წარმოება. მიმდინარე წლის სექტემბერში, ETF-ის დაფინანსებით დაიწყო TNA-ზე დაფუძნებული შემდგომი პროექტის განხორციელება, რომელიც მოახდენს სასტუმრო ინდუსტრიის და პროფესიული განათლების ცენტრების დაკავშირებას, ამ ორი სექტორის წარმომადგენელთა შორის დიალოგის გაღრმავების მიზნით.
	მცირე და საშუალო ბიზნესის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევების განხორციელება	სხვა	კვლევების შედეგად გამოვლენილი პროდუქტების წარმოების სტიმულირება	შემუშავებული სულ მცირე ორი მცირე და საშუალო ბიზნესის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	საანგარიშო პერიოდში GIZ-თან თანამშრომლობით სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ განახორციელა 2 მცირე და საშუალო ბიზნესის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა: საქართველოს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიური კლასტერების პოტენციალის კვლევა და ქართული ავეჯის პოტენციალის კვლევა ევროკავშირის ბაზარზე.
სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები						
საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, 55-ე მუხლი	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის შესაბამისად	სამართლებრივი ჩარჩო	განახლებული ან ახლად შექმნილი კანონმდებლობა	დამტკიცებული ნორმატიული აქტების რაოდენობა საკანონმდებლო დაახლოვები	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სიის შესაბამისად, 2017 წლის მდგომარეობით განხორციელდა ევროკავშირის 17 საკანონმდებლო აქტთან დაახლოება და მიღებულ იქნა შემდეგი საქართველოს მთავრობის დადგენილებები: 1. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის №195 დადგენილება „ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზისა და გამოკვლევის მეთოდების შესახებ“;

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				ს პროგრამის შესაბამისად		2. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 ივნისის №303 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №508 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; 3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილება „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“; 4. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 ივლისის №354 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; 5. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ დამტკიცების თაობაზე; 6. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის №323 დადგენილება „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“. 7.„სურსათის ლოტის აღნიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №456 დადგენილება. 8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №594 დადგენილება „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისადა წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“; 9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველური ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მომხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ.“ 10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №597 დადგენილება „აკვაკულტურისა და მისი პროდუქტების ბაზარზე

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						განთავსებისა და იმპორტის პირობების, სერტიფიცირების მოთხოვნებისა და ვექტორული სახეობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“; 11. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №595 დადგენილება „სპეციალურ მოთხოვნებს დაქვემდებარებული პროდუქტებით ვაჭრობისა და იმპორტისას საზოგადოებრივ და ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების შესახებ“; 12. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №584 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“; 13. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N602 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – კარტოფილის მურა სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“; 14. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №556 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გარდა კონტროლისათვის განსაზღვრულ სხვა ადგილზე მცენარეების, მცენარეული პროდუქტების და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების იდენტურობის შემოწმების და მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის პროცედურებისა და პირობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე“; 15. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №553 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“. შედარების შედეგად დადგინდა რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსი) უკვე დაახლოებულია ევროკავშირის ერთ სამართლებრივ აქტთან ევროკომისიის (EC) No 645/2000 რეგულაცია. ხოლო ევროკავშირთან შეთანხმებით 2 სამართლებრივი აქტი მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის არარელევანტურად და ამოღებულ იქნა 2017 წელს დასაახლოებელი დირექტივების ჩამონათვალიდან.
საქართველოსთვის შემდგომი ტექნიკური რჩევებისა და მხარდაჭერის გაწევა კანონმდებლობის	მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკის მეთოდების დანერგვა	სხვა	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში 2017 წლის განმავლობაში შემუშავდა და დაინერგა შემდეგი კვლევის მეთოდები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
შემუშავებასა და გატარებაში, მათ შორის, შესაბამისი კადრების მომზადებაში. კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების განვითარებასა და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება; კარი IV, თავი 4 სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები.			აკრედიტებულია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით			1. კარტოფილის ხუთი სახეობის ვირუსის (PVX, PVY, PVM, PMTV, APLV) იმუნოფერმენტული (ELISA) კვლევა; 2. პომიდვრის ორი სახეობის ვირუსის (ToMV, TSWV) იმუნოფერმენტული (ELISA) კვლევა; 3. ხმელთაშუა ზღვის ნაყოფის ბუზის (Ceratitis capitata) იდენტიფიკაციის მეთოდის დამუშავება და დანერგვა; 4. ფიჭვის ნემატოდების (Bursaphelenchus xylophilus) მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; 5. მცენარეული მასალიდან და ნიადაგიდან Phytopththora spp. გამოყოფა და იდენტიფიკაცია; 6. პომიდვრის ბაქტერიული ლაქიანობის გამომწვევის Xanthomonas spp. (X. vesicatoria, X. euvesicatoria, X. gardneri, X. perforans) -ს გამოვლენის და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაციის მეთოდის დამუშავება და დანერგვა; 7. კაროლინის ძაღლყურძენას (Solanum carolinense L.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა; 8. კარტოფილის რგოლური სიდამპლის გამომწვევი ბაქტერიის Clavibacter michiganensis subs. sepedonicus) იმუნოფერმენტული (ELISA) კვლევა; 9. ვაზის ბაქტერიოზის გამომწვევის Xylophilus ampelinus-ის გამოვლენის და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაციის მეთოდის დამუშავება და დანერგვა; 10. ვაზის ბაქტერიოზის გამომწვევის Xylophilus ampelinus დნმ-ს გამოყოფის მეთოდის დანერგვა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია; 11. ვაზის GLRaV-1 და GLRaV-3-ის ვირუსების პჯრ კვლევა; 12. პროდუქტებში არაქისის შემცველობის დადგენა თვისობრივი ანალიზით (RT პჯრ მეთოდი); 13. ხეხილის სიდამწვრის გამომწვევი ბაქტერიის (Erwinia amylovora) იმუნოფერმენტული (ELISA) კვლევა; 14. Xanthomonas spp. (X. vesicatoria, X. euvesicatoria, X. gardneri, X. Perforans)-ს დეტექციის და იდენტიფიკაციის დანერგვა პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; 15. Xylophilus ampelinus-ის დეტექციის და იდენტიფიკაციის დანერგვა პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; 16. დასავლეთის კალიფორნიის თრიფსის (Frankliniella occidentalis) იდენტიფიკაციის მეთოდის დამუშავება და დანერგვა; 17. მრავალწლიანი ამბროზიის (Ambrosia psilostachya D.C.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა; 18. ApMV - ვაშლის მოზაიკის ვირუსის იმუნოფერმენტული (ELISA) კვლევა;

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						19. PNRSV - ქლიავის ნეკროზული რგოლური ლაქიანობის ვირუსის იმუნოფერმენტული (ELISA) კვლევა; 21. დასავლეთის სიმინდის ხოჭოს (Diabrotica virgifera) მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; 22. თხილის კვირტის ტკიპა (Phytoptus avellanae) მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; 23.Guignardia citricarpa-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია; 24. საკარანტინო ორგანიზმის Tilletia (Neovissia) indica-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია; 25.კივის ბაქტერიული კიბოს გამომწვევის Pseudomonas syringae pv. actinidiae გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია; 26. ნიადაგის ნიმუშში ბაქტერიების მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია; 27. Pseudomonas syringae pv. actinidiae-ს დეტექცია და იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; 28. ეკლიანი ემექსის (Emex spinosa L.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა; 29. დაკბილული რძიანას (Euphorbia dentata Michx.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა.
	სურსათის კვლევებისათვის ანალიზური ქიმიის მიმართულების ახალი მეთოდების დანერგვა	სხვა	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია სურსათის ტესტირებას ახორციელებს ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად	დანერგილი ახალი მეთოდები	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სურსათის კვლევის დეპარტამენტში 2017 წლის განმავლობაში სულ დამუშავდა და დაინერგა შემდეგი მეთოდები: 1. მძიმე მეტალების (სპილენძი, თუთია, ტყვია, კადმიუმი) თხილში განსაზღვრა; 2. თხილში აფლატოქსინების (B1,B1+B2,G1+G2) განსაზღვრა (რეფერენს მეთოდი); 3. ხილსა და ბოსტნეულში - მძიმე მეტალების (სპილენძი, თუთია) განსაზღვრის ატომურ ემისიური მეთოდი; 4. თაფლში - ფოსფორორგანული პესტიციდების განსაზღვრის გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდი; 5. წყალში - იონების (ნიტრატები, ნიტრიტები, სულფატები, ფოსფატები, ფთორი, ბრომი, ქლორი) განსაზღვრის იონური ქრომატოგრაფიის მეთოდი; 6. ხორცის სიახლეზე მეთოდი დაინერგა; 7. სურსათში ოქროსფერი სტაფილოკოკების განსაზღვრა; 8. ფრინველის ხორცში სალმონელას სეროტიპირება. სკრინინგ მეთოდები (ბიოჩიპების მეთოდი (Randox Evidence Investigator):

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						9. თაფლსა და ხორცში - ანტიბიოტიკების: ტეტრაციკლინის ჯგუფის, ქინოლების, ცეპტიოფურის, თიამფენიკოლის, სტრეპტომიცინისა და თილოზინის განსაზღვრის მეთოდი (Antimicrobial array II (AM II); 10. თაფლში - ქლორამფენიკოლის და ნიტროიმიდაზოლების განსაზღვრის მეთოდი (Antimicrobial array V (AM V)); 11. თაფლში, ზღვის პროდუქტებში და ხორცში - ნიტროფურანების (AOZ, AMOZ, AHD, SEM) განსაზღვრის მეთოდი (Antimicrobial array III (AM III)); მარცვლეულში და სხვადასხვა მარცვლეულზე დამზადებულ ცხოველთა საკვებში: 12. მიკოტოქსინების (ოხრატოქსინი A , აფლატოქსინი G1 , დეოქსინივალენოლი, აფლატოქსინი B1, ზეარალენონის) განსაზღვრის მეთოდი ((Myco V (Myco 5)); 13. მიკოტოქსინების (ფუმოზინი, ოხრატოქსინი A, დეოქსინივალენოლი, აფლატოქსინი G1, ზეარალენონი, T2 ტოქსინი, აფლატოქსინი B1) განსაზღვრის მეთოდი ((Myco VII (Myco 7)); 14. მიკოტოქსინების (პაქსილინი, ფუმოზინი , ოხრატოქსინი A, ერგო ალკალოიდები, დიაცეტოქსისცირპენოლი, დეოქსინივალენოლი, აფლატოქსინი G1, ზეარალენონი, T2-ტოქსინი, აფლატოქსინი B1) განსაზღვრის მეთოდი ((Myco X (Myco10)). პროფესიული ტესტირება ჩატარდა 13 მაჩვენებელზე. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ლაბორატორიის თანამშრომლებმა გაიარეს სხვადასხვა სასწავლო კურსი.
	სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო დაახლოების პროგრამით გათვალისწინებული რეგულაციების ლაბორატორიული კომპონენტის დანერგვა	სხვა	საკანონმდებლო დაახლოების პროგრამით გათვალისწინებული რეგულაციების ლაბორატორიული ნაწილი სრულდება ევროპული პრაქტიკის შესაბამისად	შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ 2017 წლის იანვარში გაიარა აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO 17025 მიხედვით (ANAB)- აკრედიტაცია მიიღეს თბილისის, ახალციხის, ქუთაისის, ბათუმის, დუშეთის, მარნეულის, გორის და გურჯაანის ლაბორატორიებმა. ლაბორატორიებს აკრედიტაცია მიეცათ შემდეგ სფეროებში: • ვეტერინარული დაავადების სადიაგნოსტიკო ტესტი • ქიმიური ტესტი სურსათის უვნებლობისა და წყლის ხარისხისათვის; • ტესტი სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური დაბინძურებაზე შესამოწმებლად; • რადიოლოგიური ტესტი სურსათის უვნებლობისა და წყლის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ხარისხისათვის. ლაბორატორიამ 2017 წლის მაისში მიიღო ადგილობრივი აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტში ISO 17025 აკრედიტებულ იქნა თბილისის, ახალციხის, ქუთაისის და ბათუმის ლაბორატორიები. ლაბორატორიებმა აკრედიტაცია მიეცათ შემდეგ სფეროებში: • ვეტერინარული დაავადების სადიაგნოსტიკო ტესტი; • ქიმიური ტესტი სურსათის უვნებლობისა და წყლის ხარისხისათვის; • ტესტი სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური დაბინძურებაზე შესამოწმებლად; • რადიოლოგიური ტესტი სურსათის უვნებლობისა და წყლის ხარისხისათვის. ზემოაღნიშნულ ლაბორატორიებში დაინერგა ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესაბამისად
	შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში, კომპეტენტური ორგანოსთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის და ლაბორატორიული უნარების გაძლიერების კუთხით	ინსტიტუციური სისტემა	შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანამშრომლების ტრენინგი	ჩატარებული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 2017 წლის 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ქ. სოფიაში, ბულგარეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და მეტყევეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტის - „სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება რისკის შეფასებისა და რისკის მართვის სფეროებში“ მეორე ფაზაში - „რისკის შეფასებისა და რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაში ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება“; 2. 2017 წლის 4-8 სექტემბერს ბულგარეთის სურსათის უვნებლობის სააგენტოს თანამშრომლების მიერ სურსათის ეროვნულ სააგენტოში ჩატარდა სასწავლო სემინარი - "სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება რისკის შეფასებისა და რისკის მართვის სფეროებში" პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში - - "რისკის შეფასებისა და რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების და განხორციელებაში ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება" 3. 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სოფიაში, ბულგარეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და მეტყევეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტის „სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება რისკის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						შეფასებისა და რისკის მართვის სფეროებში“ პროექტის მეხუთე ფაზაში - “ტრენინგი ცხოველის ჯანმრთელობისა და მათი ვაჭრობის სფეროებში რისკის ანალიზისა და რისკის მართვის ევროპულ სტანდარტებზე; საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპები და მოთხოვნები - ოქმები, რისკის მართვის მეთოდები ევროპული სტანდარტების შესაბამისად“. ევროკავშირის დახმარების პროექტის CIB-ის ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. 2017 წლის 18 იანვარს CIB-ს საერთაშორისო ექსპერტმა NFA-ს ინსპექტორებს გააცნო გამოვლენილი წინააღმდეგობები, რომელსაც შეიძლება შეხვდნენ ქართულ დიდ ხორც გადამამუშავებელ და საცალო ვაჭრობის ობიექტებზე; 2. CIB-ს საერთაშორისო ექსპერტებმა 2017 წლის 20 თებერვალს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) ვეტერინარებისა და ინსპექტორებისთვის წარმოადგინეს პრაქტიკული მაგალითები ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ საქართველოს ნარჩენების მონიტორინგის პროგრამის თაობაზე; 3. 2017 წლის მარტის თვეში CIB-ს ექსპერტების მიერ კონსულტაცია გაეწია ვეტერინარიის დეპარტამენტს ცხოველური წარმოშობის პროდუქტში ქიმიური ნარჩენების და მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების მონიტორინგის დაგეგმვასთან დაკავშრებით. ასევე მიეწოდათ რეზიუმე სეს-ის ვეტერინარიისა და სურსათის დეპარტამენტებისთვის ტყავის და კანის, დედა ფუტკრის, ასევე არასასურსათო მოხმარების აპიკულტურის პროდუქტების მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირში იმპორტთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ; 4. 2017 წლის 19-21 აპრილს CIB-ს მხარდაჭერით ჩატარდა 3 დღიანი ტრეინინგი სურსათის უვნებლობის დეპარტამენტისათვის. ტრეინინგის თემა იყო FSSC 22000 სურსათის უვნებლობის სისტემების სერტიფიცირება. სქემა წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემებისადმი ახლებურ მიდგომას და შედგება ISO 22000:2005 და ISO/TS 22002- 1:2009 სტანდარტებისგან. ტრეინინგ კურსს დაესწრნენ ინსპექტორები სეს-ის სათაო და რეგიონული ოფისებიდან, ტრეინინგი ჩაატარა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) ექსპერტმა; 5. 2017 წლის 21 აპრილს მოხდა ვეტერინარიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოების

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს 2006 წლის 24 ოქტომბრის ევროსაბჭოს 2006/88/EC დირექტივა წყლის ცხოველებისა და მათგან გამომდინარე პროდუქტების ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და წყლის ცხოველების ზოგიერთი დაავადების კონტროლისა და პრევენციის თაობაზე. 6. 2017 წლის 28 აპრილს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ფარგლებში CIB-ის ორგანიზებით გაიმართა სურსათის უვნებლობის ჯგუფის შეხვედრა, ჯგუფმა განიხილა 2013 წლის 12 ივნისის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EU) No 09/2013 რეგულაცია ჩვილი და მცირე ასაკის ბავშვებისთვის, სპეციალური სამედიცინო მიზნებისათვისა და წონის კონტროლის მიზნით მთლიანი საკვები რაციონის ჩანაცვლებისთვის განკუთვნილი სურსათის შესახებ. შეხვედრაზე CIB-ს ექსპერტებმა და სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს ზემოთ ხსენებული დირექტივის ძირითადი საკითხები, რასაც გაითვალისწინებენ შესაბამის ქართულ კანონმდებლობაზე მუშაობისას. 7. 2017 წლის 1-5 მაისს CIB-ს მხარდაჭერით განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული სამუშაო ჯგუფის წევრების სასწავლო ვიზიტი ესტონეთში არასასურსათო ცხოველური წარმოშობის პროდუქტების თაობაზე კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო მოთხოვნების იმპლემენტაციის ასპექტების მხრივ, ევროკავშირის ექვივალენტური კანონმდებლობის (რეგულაციები: 1069/2009, 1774/2002 და 142/2011) შემუშავების პროცესში, პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. 8. საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში, CIB-მ სურსათის ეროვნულ სააგენტოში 2017 წლის 23 მაისს საკანონმდებლო დაახლოების სამუშაო ჯგუფისათვის ჩაატარა შეხვედრა სურსათის უვნებლობის შესახებ. სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. დისკუსია ეხებოდა N 1935/2004 რეგულაციას სურსათთან შემხებლობში მყოფი მასალებისა და საგნების შესახებ. განხილული თემები მოიცავდა: რეგულაციის ძირითად ელემენტებს, ზოგად მიზანს, სპეციალურ დებულებებს სურსათთან შემხებლობში მყოფ აქტიური მასალებს, ავტორიზაციის პროცედურებს, ეტიკეტირებას, შესაბამისობასა და მიკვლევადობას, დაცვისა და აღსრულების დებულებებსა და გამოცდილებას აღსრულებაში. 9. მიმდინარე წლის ივნისში ევროკავშირის კანონმდებლობასთან

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						დაახლოების ფარგლებში CIB-ის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა N 1251/2008 რეგულაციას მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ევროსაბჭოს 2006/88/EC დირექტივის იმპლემენტაციას, ევროკავშირში აკვაკულტურის ცხოველებისა და პროდუქტების იმპორტისა და ბაზარზე განთავსებისათვის სერტიფიკაციისა მოთხოვნებისა და პირობების და ვექტორული სახეობების სიის დადგენის მხრივ. 10. საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში, CIB-მ ჩაატარა ვეტერინარული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კაჭრეთში. განხილულ იქნა რეგულაციები: 1069/2009, 1774/2002 და 142/2011. 14-16 ივნისს გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ვეტერინარული სამუშაო ჯგუფის 15 წევრი და CIB პროგრამის საერთაშორისო მრჩეველები. 11. 2017 წლის 6-7 ივლისს CIB პროექტის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ქ. თელავში (6-7 ივლისს), აჭარისა და გურიის რეგიონებში (12-14 ივლისს) გაიმართა შეხვედრები თემაზე - ღორის დაავადებებისა და მათი პრევენციის, აგრეთვე საკანონმდებლო მხარის და ხელოვნური განაყოფიერების საკითხებზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 130-მდე ფერმერმა, სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური მომსახურე პერსონალმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. 12. 2017 წლის 21 სექტემბერს, CIB-ს საერთაშორისო ექსპერტმა ჩაატარა ტრენინგი ვეტერინარული დეპარტამენტის ცხოველის საკვების სპეციალისტებისთვის, ევროკომისიის (EC) NO 152/2009 რეგულაციისა (სურსათის ოფიციალური კონტროლისათვის ანალიზისა და ნიმუშის აღების მეთოდების დადგენის შესახებ) და ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) NO 1831/2003 რეგულაციის - „ცხოველის საკვებში გამოსაყენებლად გამიზნული დანამატების შესახებ. 13. CIB-ს პროგრამის მხარდაჭერით, ქ. თბილისა (10-12 ივლისი) და ქუთაისში (13-15 ივლისი), სამდღიანი ტრენინგ-კურსები ჩაუტარდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს პერსონალს საერთაშორისო სასერთიფიკაციო სტანდარტზე FSSC 22000. ტრენინგს დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოების 42 წარმომადგენელი. ტრენინგი ჩატარდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საერთაშორისო ექსპერტის მიერ. 14. 2017 წლის 1-4 აგვისტოს CIB-ს პროგრამის ორგანიზებით გაიმართა დისკუსია მრგვალი მაგიდის ირგვლივ, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო ადმინისტრაციის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						წარმომადგენლების მონაწილეობით. დისკუსია შეეხო დღევანდელი ვეტერინარული კონტროლის გეგმაში სასაზღვრო გამშვებ პუნქტების მხრივ ცვლილებების შეტანის წინადადებებსა და სხვა თემებს, მათ შორის ცხოველური წარმოშობის სურსათის ლაბორატორიული გამოცდისთვის ნიმუშის აღების მეთოდოლოგიას, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ლაბორატორიული ანალიზის პასუხის მიღებამდე გარკვეული კატეგორიის სურსათის დაყოვნების მიზანშეწონილობასა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 დეკემბრის „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მოთხოვნებს; 15. 2017 წლის 18-20 სექტემბერს საქართველომ უმასპინძლა პირველ დასავლეთ ევრაზიის თურქულის დაავადების ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული ქსელის შეხვედრას GF-TAD-ზე. შეხვედრა დაფინანსებული იყო OIE, FAO-მიერ, ხოლო თანადაფინანსებული და ორგანიზებული CIB-ს მიერ; 16. 2017 წლის 21 სექტემბერს, CIB-ს საერთაშორისო ექსპერტმა ჩაატარა ტრენინგი ვეტერინარული დეპარტამენტის ცხოველის საკვების სპეციალისტებისთვის, ევროკომისიის (EC) NO 152/2009 რეგულაციისა (სურსათის ოფიციალური კონტროლისათვის ანალიზისა და ნიმუშის აღების მეთოდების დადგენის შესახებ) და ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) NO 1831/2003 რეგულაციის - „ცხოველის საკვებში გამოსაყენებლად გამიზნული დანამატების შესახებ; 17. CIB-ს ფინანსური მხარდაჭერითა და ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის ორგანიზებით, ლატვიაში სასწავლო კურსში - „თევზისა და თევზის პროდუქტების წარმოების“ შესახებ, რომელიც ეხებოდა ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების სახელმწიფო კონტროლსა და რეგულაციებს, მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტისა და თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა; 18. 2017 წლის 16-25 ოქტომბერს, CIB-ს მხარდაჭერით სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ტრენინგი სურსათის ინსპექტორთათვის ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის თაობაზე. ტრენინგები ჩატარდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და მონაწილეობა მიიღო სულ 40 სპეციალისტმა და ინსპექტორმა სურსათის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისიდან, თბილისის სამსახურიდან და რეგიონული სამმართველოებიდან;

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						19. 2017 წლის 26 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით CIB-ს მხარდაჭერით სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები სურსათის ინსპექტორებისათვის რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის თაობაზე. ტრენინგები ჩატარდა თბილისში, თელავსა და ახალციხეში. ტრენინგს დაესწრო 40 სპეციალისტი და ინსპექტორი სურსათის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისიდან, თბილისის სამსახურიდან და რეგიონული სამმართველოებიდან; 20. CIB-ს პროგრამის მხარდაჭერით 6-15 ნოემბერს, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები სურსათის მომსახურების დაწესებულებებში ინსპექციის შესახებ. ტრენინგები ჩატარდა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში. და ქ. ახალციხეში. ტრენინგს დაესწრო 40 სპეციალისტი და ინსპექტორი სურსათის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისიდან, თბილისის სამსახურიდან და რეგიონული სამმართველოებიდან; 21. 2017 წლის 9 ნოემბერს CIB-ის საერთაშორისო ექსპერტმა სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტს ჩაუტარეს ტრენინგი ცხოველის საკვების რეგულაციების (152/2009 და 1831/2003) შესახებ.
საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება/განხორციელება შესაბამის სააგენტოებთან, ბიზნესსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელი მოთხოვნების თაობაზე და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან - სურსათისა და ცხოველთა საკვების უსაფრთხოების, შესაბამისი სამომხმარებლო ასპექტების თაობაზე. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ**	საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	განხორციელებული შეხვედრები, ღონისძიებები და შესაბამისად გაზრდილი ინფორმირება	განხორციელებული შეხვედრების, ღონისძიებების რაოდენობა	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1. 2017 წლის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ და სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის პროექტის მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის სხდომებში ქ. გორში, ქ. მცხეთაში, ქ. ზუგდიდში, ქ. ოზურგეთში, შუახევში და მესტიაში, სადაც მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია DCFTA-ის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების, განხორციელებული რეფორმებისა და შესაძლო სარგებლის თაობაზე; 2. 2017 წლის 4 ივლისს მარნეულში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის მიერ გამართულ შეხვედრაში, სადაც გაკეთდა პრეზენტაცია ასოცირების შესახებ შეთანხმებით სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული თანამშრომლობის სფეროების, ვალდებულებების და განხორციელებული რეფორმების შესახებ; 3. 2017 წლის 7 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ნატოს სამოკავშირეო ოფისში გამართულ მრგვალი მაგიდის სხდომაში, სადაც დამსწრე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია ასოცირების შესახებ შეთანხმებით სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული თანამშრომლობის სფეროების, ვალდებულებების და განხორციელებული რეფორმების

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
შეთანხმება თავი 4, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები.						შესახებ; 4. 2017 წლის 29 ივნისს სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით მარნეულში ჩატარებულ შეხვედრაში, სადაც დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია DCFTA შეთანხმებასთან დაკავშირებით. 5. სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელმა წარმოადგინა პრეზენტაცია DCFTA-ს შესაბამისად ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტის და შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესახებ, 20 ივნისს ქ. გორში ENPARD-ის პროგრამის მიერ ორგანიზებულ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების პროექტის“ (EuropeAid/136454/ DH/SER/GE) ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგიონალურ ფორუმზე; 6. 2017 წლის 16 თებერვალს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა შიდა ქართლის რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მცენარეთა დაცვის საშუალებების რეალიზაციის საკითხები განიხილეს. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა პრეპარატების ფალსიფიკაციასა და აგროქიმიკატების და პესტიციდების გამოყენებისას მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მსხვილმა რეალიზატორებმა და ფერმერებმა. 7. 2017 წლის 7 თებერვალს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები თბილისის აგრარული ბაზრების ხელმძღვანელებს შეხვდნენ და კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები გააცნეს. ყურადღება გამახვილდა ბიზნესოპერატორების მხრიდან ახალი რეგულაციების შესრულებასა და სურსათის ეტიკეტირების მოწესრიგებაზე. 8. 2017 წლის 4 თებერვალს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა კახეთის რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მცენარეთა დაცვის საშუალებების რეალიზაციის საკითხები განიხილეს. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა პრეპარატების ფალსიფიკაციასა და აგროქიმიკატების და პესტიციდების გამოყენებისას მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაზე აღნიშნული შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტში გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მსხვილმა რეალიზატორებმა და ფერმერებმა. 9. 2017 წლის 24 თებერვალს სურსათის ეროვნული სააგენტოს

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ორგანიზებით, ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მხარდაჭერით, სასტუმრო „ბომონდ გარდენში“, გაიმართა „სამოქალაქო დარბაზის“ მე-9 სხდომა. სააგენტოს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიმდინარე აქტუალური საკითხები განახლებულ ფორმატში განიხილეს. „სამოქალაქო დარბაზის“ სხდომა სამ თემატურ ჯგუფად გაიყო, სადაც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებულ ვითარებაზე, საკანონმდებლო სიახლეებზე, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესსა და 2017 წლის გეგმებზე იმსჯელეს. სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული „სამოქალაქო დარბაზის“ სხდომა ყოველკვარტლურად იმართება. მასში მეცნიერები, ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი; 10. 2017 წლის 24 ივნისს სურსათის ეროვნულ სააგენტოში რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებს ,,რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“ შეტანილი ის ცვლილებები გააცნეს, რომელიც 2017 წლის 1 ივლისიდან შედის ძალაში. საქართველოს მთავრობის #152 დადგენილებაში შესული ცვლილების თანახმად, დასახელება „ყველი“ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ ნაწარმზე, რომელიც მზადდება რძისგან. დაუშვებელია რძის ფხვნილისგან დამზადებული ნაწარმის ეტიკეტზე ტერმინი „ყველის“ გამოყენება. აგრეთვე ცვლილებები შეეხო „შემცირებული ცხიმშემცველობის მქონე კარაქის“ განმარტებას; 11. 2017 წლის 19 ივნისს სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ბიზნესოპერატორებთან და ლაბორატორიის წარმომადგენლებთან სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ და რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილებების თაობაზე; 12. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს სპეციალისტების მონაწილეობით: • საქართველოს რეგიონებში ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ეტაპობრივად განხორციელდა (ამ ეტაპზეც ხორციელდება) სამუშაო შეხვედრები ფერმერებთან და მეღორეობის დარგში დასაქმებულ პირებთან თემაზე: ,,ღორის ინფექციური დაავადებები, მეღორეობაში არსებული ახალი რეგულაციები და დაავადებებთან ბრძოლა''. • ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ დაქირავებული ექსპერტი

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კონსულტაციას უწევდა მეფუტკრეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებს და მეფუტკრეობის კოოპერატივების წამომადგენლებს ფუტკრის დაავადებების, მათი პროფილაქტიკის და სამკურნალო ღონისძიებების შესახებ, საფუტკრე მეურნეობებში ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებების შესახებ, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებების დროს ფუტკრის დაცვის საშუალებების შესახებ. მეფუტკრეობის დარგში სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების, ევროკავშირში დაშვებული ვეტერინარული პრეპარატების ჩამონათვალის შესახებ. • ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ დაქირავებული ექსპერტი კონსულტაციას უწევდა მეთევზეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებს თევზის მოშენების, თევზის დაავადებების პროფილაქტიკურ-სამკურნალო ღონისძიებებთან დაკავშირებით. 13. FAO-ს ექსპერტმა სეს-ის ვეტერინარიის დეპარტამენტის თანამშრომლებსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარა ტრენინგი წვრილფეხა პირუტყვის ჭირის ეპიდემიოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით (სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან. 14. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (სეს) ერთად, კახეთის რეგიონში ცხოველთა რეგისტრაციის ეროვნული სისტემის (NAITS) შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გამართა (19.07.2017). შეხვედრაზე ფერმერებს, სასაკლაოების მფლობელებს და ვეტერინარებს წარუდგინეს ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაციის ახალი, გაუმჯობესებული სისტემის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის საყურე ნიშნებით იდენტიფიცირება; 15. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის #152 დადგენილებაში „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ შესულ ცვლილებებსა და პირველი აგვისტოდან ამოქმედებული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის #262 დადგენილებასთან ,,სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ დაკავშირებით სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა კახეთის რეგიონში არსებულ რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან და ამავე რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილ პირებთან. 16. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილებასთან "ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის)

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესი" და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილებასთან "ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ" დაკავშირებით სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი სააგენტოს რეგიონული სამმართველოების უფლებამოსილ პირებთან. 17. 2017 წლის 14 დეკემბერს ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მხარდაჭერით ჩატარდა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული "სამოქალაქო დარბაზის" მე-10 სხდომა. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ყურადღება გაამახვილა საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობასა და სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტებზე. სხდომას სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეები, საზოგადოებრივი სექტორის, სამეცნიერო წრეების, დარგობრივი ასოციაციების და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „სამოქალაქო დარბაზის" წევრების მიერ დასმული საკითხები სამუშაო ფორმატში განიხილეს თემატურმა ჯგუფებმა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით. სააგენტოს წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი იყო ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული ინვაზიური მავნებლის - აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების, სურსათის უვნებლობის სტანდარტების და სახელმწიფო კონტროლის, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის, ვაქცინაციის და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საკითხებზე და ახალ რეგულაციებზე.
ბიზნეს სექტორის მხარდაჭერა დაახლოებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირება, შესახებ შეთანხმება თავი 4,**	ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე სუბიექტების დახმარება კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით	პოლიტიკის ჩარჩო	დახმარების გაწევის მიზნით განხორციელებული აქტივობები	განხორციელებული აქტივობების ან ბენეფიციარების რაოდენობა	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ 110 ბიზნესოპერატორს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ მცხეთა-მთიანეთში(21.02.2017), იმერეთში(16.02.2017), სამცხე-ჯავახეთში(23/02/2017), შიდა ქართლში(20.02.2017), სამეგრელო-ქვემო სვანეთსა(16.02.2017), და აჭარაში(17.02.2017), ჩაუტარდათ ტრენინგები - „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის #118 დადგენილება „ ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ" „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ" გაცნობის მიზნით;

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები.						2. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ 77 ბიზნესოპერატოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, სამეგრელო-ქვემო სვანეთსა და აჭარაში ჩაუტარდათ ტრენინგები - რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2013 წლის #441 დადგენილება„ ტექნიკური რეგლამენტის - სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ გაცნობის მიზნით; 3. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ 80 ბიზნესოპერატორს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ მცხეთა-მთიანეთში (21.02.2017), იმერეთში (16.02.2017), სამცხე-ჯავახეთში (23/02/2017), შიდა ქართლში (20.02.2017), აჭარაში (17.02.2017) ჩაუტარდათ ტრენინგები „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“; 4. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ 41 ბიზნესოპერატორს თბილისში კახეთში (21.02.2017) და გურიაში (17.02.2017), ჩაუტარდა ტრენინგი „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“, რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე და - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გაცნობის მიზნით; 5. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ 18 ბიზნესოპერატორს თბილისში (23.02.2017) ჩაუტარდა ტრენინგი „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ გაცნობის მიზნით; 6. 2017 წლის 28 ივნისს, ქალაქ გურჯაანში მცენარეთა დაცვის და აგროქიმიკატების რეგისტრაციის და კონტროლის სამმართველოს მიერ GIZ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერით მოხდა ტრეინინგის ორგანიზება პესტიციდების და აგოქიმიკატების რეგულირების და კონტროლის შესახებ. განხილულ საკითხთა შორის იყო პესტიციდების და აგროქიმიკატების აღნიშვნა, შეფუთვა, ტრანსპორტირება, დასაწყობება, გაყიდვა და მიწოდება, ასევე

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						განხილულ იქნა არსებულ კანონმდებლობაში მოსალოდნელი ცვლილებები. 7. 2017 წლის 30 მაისს ქ. გურჯაანში მცენარეთა დაცვის და აგროქიმიკატების რეგისტრაციის და კონტროლის სამმართველოს მიერ GIZ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერით მოხდა ტრეინინგის ორგანიზება მევენახეობაში პესტიციდების და აგოქიმიკატების რეგულირების და კონტროლის შესახებ. 8. 2017 წლის 28 ივნისს, ქ. გურჯაანში, ხოლო 27 ივლისს ქ. გორში მცენარეთა დაცვის და აგროქიმიკატების რეგისტრაციის და კონტროლის სამმართველოს მიერ GIZ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერით მოხდა ტრეინინგის ორგანიზება პესტიციდების და აგოქიმიკატების რეგულირების და კონტროლის შესახებ. განხილულ საკითხთა შორის იყო პესტიციდების და აგროქიმიკატების აღნიშვნა, შეფუთვა, ტრანსპორტირება, დასაწყობება, გაყიდვა და მიწოდება, ასევე განხილულ იქნა არსებულ კანონდებლობაში მოსალოდნელი ცვლილებები. 9. 2017 წლის 28 და 29 ნოემბერს სურსათის ეროვნულ სააგენტოში ჩატარდა შეხვედრა ბიზნესოპერატორებთან და ლაბორატორიის წარმომადგენლებთან ყველის ეტიკეტირების, ყველში აღდგენილი რძის და ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შემცველობის თაობაზე. მათთვის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გაცნობის მიზნით. 10. 2017 წლის 19 ივნისს სურსათის ეროვნულ სააგენტოში ჩატარდა შეხვედრა ბიზნესოპერატორებთან და ლაბორატორიის წარმომადგენლებთან, სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ და რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე.
საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა						
სასაზღვრო პუნქტებზე ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის შემოწმების განმახორციელებელი კომპეტენტური	ვეტერინარული, ფიტო-სანიტარიული და სურსათის უვნებლობის კუთხით სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების თანამშრომლებისათვის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და	ადამიანური რესურსები	გადამზადებული თანამშრომლები, რომლებიც შემდგომ გადაამზადებენ სხვა	გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	2017 წლის 4-8 სექტემბერს გაიმართა ტრენერთა ტრენინგი თემაზე: „არა-ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სასაზღვრო კონტროლის პროცედურები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7-მა თანამშრომელმა. ტრენერების მომზადების შემდგომ, შესაბამისად გადამზადდებიან თანამშრომლები.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ორგანოს შესაძლებლობების განვითარება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 5, საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა**	სასწავლო ვიზიტების მოწყობა		თანამშრომლებს			2017 წლის 9-13 ოქტომბერს გაიმართა ტრენერთა ტრენინგი თემაზე: „ფიტოსანიტარული კონტროლის პროცედურები საზღვარზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7-მა თანამშრომელმა. 2017 წლის 13-14 ნოემბერს თბილისში, 16-17 ნოემბერს ბათუმში, 20-21 ნოემბერს ახალციხეში ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულმა ტრენერებმა ჩაატარეს სწავლება „არაცხოველური წარმოშობის პროდუქტების სასაზღვრო კონტროლის პროცედურები“ ვეტერინარი და ფიტოსანიტარი სპეციალისტებისათვის. სულ გადამზადდა 42 თანამშრომელი, დამატებით 60 გადამზადდება 2018 წელს. არაცხოველური წარმოშობის პროდუქტების სასაზღვრო კონტროლი დაიწყო 2017 წლის 1 დეკემბერს. 2017 წლის 18-19 დეკემბერს ბაქოში ჩატარდა ორმხრივი ტრენინგი თემაზე „სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული ინფორმაციის გაცვლა და ელექტრონული სისტემები“, რომელშიც შემოსავლების სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 5-მა თანამშრომელმა. 2017 წლის 26-30 სექტემბერს განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ლატვიაში, ცხოველური და არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლის ადგილობრივი გამოცდილების გაცნობის მიზნით (რიგის საზღვაო პორტი და რიგის აეროპორტი). აღნიშნულ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო 6-მა თანამშრომელმა.
	სახელმძღვანელოების შემუშავება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის (მათ შორის ცოცხალი ცხოველი), ფიტოსანიტარული პროდუქტებისთვის და არა-ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის	სამართლებრივი ჩარჩო	ინსპექტორების მიერ ტვირთის კონტროლი განხორციელდება მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით	მიღებული სახელმძღვანელოების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	სახელმძღვანელოებზე მუშაობა: 2017 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, სახელმძღვანელოების შემუშავების მიზნით, ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად განხორციელდა შემდეგი სამუშაო შეხვედრები: 1. ვეტერინარული ნაწილი - ნიმუშების აღება ლაბორატორიული გამოკვლევისათვის (27 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით) - შემუშავდა სახელმძღვანელოების მონახაზი ცალკეულ პროდუქტებზე კონტროლისა და ნიმუშების აღების პროცედურებისთვის; - 2. არა-ცხოველური წარმოშობის სურსათი/ცხოველის საკვების მეთოდური სახელმძღვანელოები 3 შეხვედრა (30 აპრილიდან - 4 მაისის ჩათვლით, 17-19 ივლისი, 15-18 სექტემბერი) - შემუშავდა სახელმძღვანელოების პროექტი; - 3. ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო კონტროლთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოზე, ექსპერტებთან ერთად მუშაობა მიმდინარებდა

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2016 წელს. 2017 წელს აღნიშნული სახელმძღვანელო დამუშავდა შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ. 2017 წლის დეკემბერში შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით მიღებულ იქნა სამივე სახელმძღვანელო: • „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი პროცედურული სახელმძღვანელო“ 2017 წლის 29 დეკემბერის ბრძანება N 36170. • „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელო“ 2017 წლის 29 დეკემბერის ბრძანება N 36169 • „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელო 2017 წლის 27 დეკემბერის ბრძანება N 35631
	არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლის რეგულაციის მიღება და პროცედურების დანერგვა	სამართლებრივი ჩარჩო	არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლის რეგულაცია მიღებულია, პროცედურები დანერგილია	მიღებული რეგულაცია და დანერგილი პროცედურები	შემოსავლების სამსახური	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილება „არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 დეკემბრიდან.
ქართული ბიზნესის მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა, დაახლოებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის განხორციელებისათვის და სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ინფრასტრუქტურის განვითარება **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული**	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის "წითელი ხიდის" მშენებლობის I ეტაპის დასრულება და აღჭურვილობის შეძენა	ინფრასტრუქტურა	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი „წითელი ხიდის“ მშენებლობის I ეტაპი დასრულებულია და აღჭურვილობის ნაწილი შეძენილია	პუნქტი შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.	შემოსავლების სამსახური	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი "წითელი ხიდის" სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისათვის აუცილებელი შენობის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა. გამოცხადა ტენდერი მეორე ეტაპისთვის, გამოვლინდა გამარჯვებული და დაიწყო მეორე ეტაპის მშენებლობა. CIB პროექტის ფარგლებში შეძენილია SPS კონტროლისათვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV,მუხლი 63 იმპორტის შემოწმება და ინსპექტირების მოსაკრებელი. დანართი IX იმპორტის შემოწმება და ინსპექტირების მოსაკრებელი.						
მხარეები ითანამშრომლებენ ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართში მოცემულ ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისთვის მოსამზადებლად. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება , კარი IV, თავი 5, საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა დანართი XIII - საბაჟო კანონმდებლობასთან დაახლოება**	ახალი საბაჟო კანონმდებლობის შემუშავება	სამართლებრივი ჩარჩო	საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება	შემუშავებული საბაჟო კანონმდებლობის პროექტი	შემოსავლების სამსახური	მომზადდა საბაჟო კოდექსის სამუშაო პროექტი, რომელიც განსახილველად მიეწოდა ევროკომისიას. წარმოდგენილი შენიშვნების საფუძველზე გრძელდება პროექტზე მუშაობა. ასოცირების შეთანხმების არსებული XIII დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა მოახდინოს დაახლოება ე.წ. Community Customs Code-თან, რომელიც ჩაანაცვლა ახალმა დოკუმენტმა ე.წ. Union Customs Code. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გამართული ბოლო საბაჟო ქვეკომიტეტის ფარგლებში შეთანხმდა, რომ (17.05.2017), მოხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ე.წ. Union Customs Code დოკუმენტთან. შესაბამისად, უნდა მოხდეს არსებული სამუშაო პროექტის განახლება Union Customs Code დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ევროკაშირი გამოყოფს ტექნიკურ ექსპერტს არსებული პროექტის განახლების პროცესში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით.
	მეორადი კანონმდებლობის მიღება	სამართლებრივი ჩარჩო	საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება	მიღებული მეორადი საბაჟო კანონმდებლობა	შემოსავლების სამსახური	ახალი საბაჟო კოდექსის მიღების შემდეგ განხორციელდება მეორადი კანონმდებლობის შემუშავება.
	შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება	ადამიანური რესურსები	შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების გაზრდილი ინფორმირებულობა ახალი საბაჟო კანონმდებლობ	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	ახალი საბაჟო კანონმდებლობის სამუშაო პროექტის შემუშავების შემდგომ მოხდება შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			ის დებულებების აღსრულების მიზნით			
საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის სისტემასთან **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება , კარი IV, თავი 5, საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა**	ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ახალი რეგულაციების შემუშავება და მიღება	სამართლებრივი ჩარჩო	ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების პროგრამის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება	მიღებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მარეგულირებელი კანონმდებლობა	შემოსავლების სამსახური	მიღებულ იქნა საკანონდებლო ცვლილებები, რომლთა შედეგადაც დაინერგა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) ინსტიტუტი საქართველოში. გრძელდება მუშაობა კანონმდებლობის შემდგომ დახვეწაზე. 2017 წლის 20-23 ივნისს, მსოფლიო ბანკის IFC პროექტის მხარდაჭერით, ბათუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა შემოსავლების სამსახურისა და USAID G4G პროექტის წარმომადგენელთათვის, სადაც განიხილეს DG TAXUD-ის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე გაკეთებული შენიშვნები. განახლებული პროექტი მიეწოდა ევროკომისიას 2017 წლის 26 ივლისს. 2017 წლის 1 სექტემბერს, ძალაში შევიდა ცვლილებები ფინანსთა მინისტრის ბრძანება N290-ში რომლითაც დარეგულირდა AEO-ს ინსტიტუტის მუშაობის ზოგიერთ საკითხი.
	შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება	ადამიანური რესურსები	შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების გაზრდილი ინფორმირებულობა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მარეგულირებელი კანონმდებლობის დებულებების სათანადო აღსრულების მიზნით	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	2017 წლის 7-11 აგვისტოს, USAID G4G მხარდაჭერით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა AEO-ს თემატიკაზე პოლონელი ექსპერტის მონაწილეობით. 2017 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა შემოსავლების სამსახურისა, USAID G4G-ს და Deloitte-ის წარმომადგენლებს შორის, სადაც განიხილებოდა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლების და უკვე ავტორიზებული პირების IT აუდიტის განხორციელების მიზნებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩოს და შესაბამისი სამუშაო სახელმძღვანელოების შემუშავების საკითხები.
თანამშრომლობა რისკის შემცველ საბაჟო კონტროლზე და შესაბამისი ინფორმაციის	საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის	სამართლებრივი ჩარჩო	შემოსავლების სამსახური რისკების პროფილების შემუშავებისას	საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის / მგზავრების	შემოსავლების სამსახური	მიღებული იქნა ცვლილება, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (მუხლი 214 (1)) რომლის თანახმად, საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების,

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს რისკების მართვისა და მომარაგების ჯაჭვის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობას და იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ სატრანზიტო საქონლის უვნებლობასა და უსაფრთხოებას. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება , კარი IV, თავი 5, საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა**	შესახებ (API/PNR) რეგულაციების განხორციელება		სარგებლობს საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) მონაცემებით	პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) სისტემის გააქტიურება		ამ სატრანსპორტო საშუალებით გადასაადგილებელი საქონლის ან/და მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი რომელიც შეიმუშავებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214(1) მუხლის მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტს, რითიც განისაზღვრება საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირის მიერ საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების, ამ სატრანსპორტო საშუალებით გადასაადგილებელი საქონლის ან/და მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის წესი.
საქართველოს მხარდაჭერა პან-ევრო ხმელთაშუაზღვის კონვენციაზე მიერთების პროცესში და ამის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულებაში. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება , კარი IV, თავი 5, საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა**	საბაჟო ოფიცრების ტრეინინგი პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიცირებასა და დამოწმებაში.	ადამიანური რესურსები	შემოსავლების სამსახურის გადამზადებული საბაჟო ოფიცრები პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიცირებასა და პირობების შემოწმებაში	ჩატარებული ტრენინგების და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	2017 წლის 16-17 მაისს, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილოება მიიღო PEM სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. დაგეგმილია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები პან-ევრო ხმელთაშუაზღვის წესების შესახებ, რომლებიც განხორციელედება 2018 წლის განმავლობაში.
	პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის პრეფერენციულ წარმოშობის წესების რეგიონალურ კონვენციაზე მიერთება	საერთაშორისო თანამშრომლობა	პრეფერენციული წარმოშობის პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის პრეფერენციული წარმოშობის	საქართველოს მიერთება პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის კონვენციასთან	შემოსავლების სამსახური	2017 წლის 21 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ“ რეგიონული კონვენციის“ რატიფიცირება, ხოლო 2017 წლის 1-ლი ივლისს, საქართველო ოფიციალურად გახდა აღნიშნული კონვენციის მხარე. მიმდინარეობს მუშაობა ასოცირების შეთანხმების პირველ ოქმში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესახებ, რის შემდეგაც კონვენციის წესები ამოქმედდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			წესების ამოქმედება შესაბამის ქვეყნებთან			
საქართველოს მხარდაჭერა ერთიანი სატრანზიტო პროცედურების კონვენციაზე მიერთების კუთხით. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, მუხლი 67. ხელშეწყობა**	საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციასთან მიერთების მიზნით საკანონმდებლო პროექტის მომზადება და IT ინფრასტრუქტურის მომზადება NCTS ელექტრონული სისტემის იმპლემენტაციისათვის	სამართლებრივი ჩარჩო	ტრანზიტის გამარტივებული პროცედურები კონვენციის წევრ ქვეყნებთან	შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი	შემოსავლების სამსახური	შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფი მუშაობს სისტემის იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ცვლილებების იდენტიფიცირებასა და სისტემის ტექნიკური მახასიათებლების შესწავლაზე. 2017 წლის 17 – 18 მაისს, 19 - 20 ივლისსა და 27 -28 სექტემბერს, აღმოსავლეთი პარტნიორობის - საზღვრის ინტეგრირებული მართვის - შესაძლებლობათა გაზრდის პროექტის (EAP – IBM) ფარგლებში და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით გაიმართა 3 სემინარი „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)“ კონვენციისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)” შესახებ. 2017 წლის 18 დეკემბერს, ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ტვინინგ პარტნიორის შესარჩევად ევროკავშირის წევრი ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციებისაგან. პროექტის დაწყება ნავარაუდევია 2018 წლის დასაწყისში.
	საბაჟოს თანამშრომლების ტრენინგი საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების აღსრულების მიზნით	ადამიანური რესურსები	საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების აღსრულებისათვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის	გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს, ტრენინგების თემატიკისა და შესაბამისი მიმართულებების და საკითხების იდენტიფიცირება.
ინტელექტუალურ საკუთრების დაცვის საბაჟო აღსრულებასთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟო აღსრულების პროცედურებთან დაკავშირებული საკანონმდებლო	სამართლებრივი ჩარჩო	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა ევროკავშირის	ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციების მიხედვით შეცვლილი ქართული კანონმდებლობა	შემოსავლების სამსახური	2017 წლის 13 დეკემბერს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
კანონმდებლობასთან დაახლოება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV,მუხლი 75, XXIII დანართი - საბაჟო კანონმდებლობასთან დაახლოება**	ცვლილებების შემუშავებადა მიღება		სტანდარტების შესაბამისად			
	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟო აღსრულებასთან დაკავშირებული ოპერატიული პროცედურების შემუშავება და მიღება	სამართლებრივი ჩარჩო	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება	ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით გაწერილი ოპერატიული პროცედურები	შემოსავლების სამსახური	მომზადდა საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით საბაჟო აღსრულებასთან დაკავშირებული ოპერატიული პროცედურების პროექტები და მიმდინარეობს შიდა განხილვის პროცედურები, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.
	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟოს შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი	ადამიანური რესურსები	ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში გადამზადებული თანამშრომლები	გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	ინტელექტუალური საკუთრების საზღვარზე დაცვის მიმართულებით შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა განხორციელდება 2018 წლიდან, ვინაიდან საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა განხორციელდა 2017 წლის ბოლოს.
საჯარო შესყიდვები						
საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, 143-ე მუხლის II პუნქტით და 144-ე და 145-ე მუხლებით განსაზღვრული	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება	სამართლებრივი ჩარჩო	საჯარო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	მომზადებული საკანონმდებლო პროექტი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2017 წლის 6 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი“, რომლის საშუალებითაც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კუთხით კანონში აისახა თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპები, განისაზღვრა, რომ სატენდერო მოთხოვნების დადგენისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების აღწერას, დადგინდა ტენდერის გამოცხადებისა და სატენდერო პირობების გაცნობის გონივრული ვადები. აღსანიშნავია, რომ ვადებთან

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ღონისძიებების შესრულება						დაკავშირებული ვალდებულება სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 2019 წლიდან. კანონით ასევე შეიცვალა გასაჩივრების წესი, კერძოდ, გამოცხადებული ტენდერის სატენდერო პირობებს უფასოდ ასაჩივრებს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ხოლო შერჩევა-შეფასების ეტაპს – მხოლოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი, რომლის უფლებაც შეილახა. ამისთვის, იგი იხდის საჩივრის წარდგენის საფასურს, რომელიც მას დავის განხილვის დასრულების შემდეგ ყველა შემთხვევაში დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა თუ მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდება. ასეთ დროს, საჩივრის წარდგენის საფასური გადადის სახელმწიფო ბიუჯეტში. საკანონმდებლო ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლის 19 ივლისს.
	შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მომზადება	სამართლებრივი ჩარჩო	საჯარო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნები ასახულია კანონის პროექტში	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ახალი ცვლილებებისადმი ადაპტაციისთვის და კანონის მოთხოვნათა აღსასრულებლად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოსცა 19 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელთა შორის ძირითადი ადგილი უჭირავს ორ მათგანს – ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალ წესს (2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება), რომლითაც არა მხოლოდ აღსრულდა საკანონმდებლო მოთხოვნები, არამედ მკაფიოდ, დეტალურად და ქრონოლოგიურად გაიწერა ტენდერის ჩატარების ყოველი კონკრეტული ეტაპი და ცვლილებები დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესში (2017 წლის 15 ივნისის №22 ბრძანება), რომლითაც დეტალურად განისაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს საჩივრის წარდგენა საბჭოში ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით. დარჩენილი სხვა 17 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ასევე აღასრულებს საკანონმდებლო მოთხოვნებს. აღნიშნული ცვლილებების პარალელურად, შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები ახალი კანონისა და კანონქვემდებარე აქტების ეფექტურად აღსრულების მიზნით, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ვებ საიტზე.
	საჯარო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის მიზნით წინადადებების შემუშავება	ინსტიტუციური სისტემა	საჯარო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	საჯარო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის საბჭოს ინსტიტუციური რესტრუქტუ	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საჯარო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული კანონპროექტი განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავრობას, რომელმაც 2017 წლის 13 სექტემბერს მოიწონა აღნიშნული კანონპროექტი და იმავე დღეს, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. 2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა აღნიშნული კანონპროექტი.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				რიზაციის გეგმა		
თანამშრომლობა საუკეთესო პრაქტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ გამოცდილების გაზიარებასა და ინფორმაციის გაცვლის გზით. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, მუხლი 149**	ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის (სააგენტო და ა. შ.)	ადამიანური რესურსები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესაბამისი პირების გაზრდილი კვალიფიკაცია	გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	- 2017 წლის 21-22 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივით და TAIEX- ის მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი ევროკავშირის დირექტივების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებს ევროკავშირის ქვეყნებში. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლები. - 2017 წლის 7 და 9 მარტს, გაიმართა სემინარი თემაზე: ევროკავშირის ახალი დირექტივები კომუნალური სექტორისა და კონცესიების შესახებ. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მთავრობის ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე იუსტიციის სამინისტროს და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრის ფარგლებში SIGMA-ს ექსპერტებმა სემინარის მონაწილეებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გააცნეს ევროკავშირის ქვეყნებში კონცესიებისა და კომუნალურ სექტორში არსებული პროცედურები და რეგულაციები და გაუზიარეს ამ მხრივ დანერგილი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება; - 2017 წლის 2 ივნისს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი თემაზე: "კონკურენციის კანონმდებლობა ევროკავშირსა და საქართველოში". აღნიშნულ სემინარს დაესწრო სახელმწიფო შესყიდვების სამი წარმომადგენელი; - 2017 წლის 6 ივნისს, ევროკავშირის პროექტის ეგიდით, გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: "კორუფციული გარიგებების რისკების შემცირების მეთოდები". ღონისძიებას დაესწრნენ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები. სემინარს ესწრებოდნენ ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მთავრობის ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები; - 2017 წლის 20 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით, ნიდერლანდების სამეფოში, ქ. ლეიდენსა და ჰააგაში, სასწავლო მიზნით მივლინებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორი თანამშრომელი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში თემაზე: „სახელმწიფო

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						შესყიდვები“ აღნიშნული ტრენინგი ორგანიზებული იყო ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ. - 2017 წლის 19-22 სექტემბერს, ქ. თბილისში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანა-ორგანიზებით, საჯარო შესყიდვების თემაზე გაიმართა მსოფლიო მასშტაბის ფორუმი. „რეგიონალური ფორუმი სამთავრობო შესყიდვებზე“. აღნიშნული ფორუმის ფარგლებში, საქართველოს 71 დელეგატი ეწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ფორუმის მონაწილეები გაეცნენ საჯარო შესყიდვებში მოწინავე პრაქტიკას და საუკეთესო გამოცდილებას. - 2017 წლის 2-4 ოქტომბერს, ქ. თბილისში ჩატარდა ფორუმი, „აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ფორუმი საჯარო შესყიდვების ელექტრონულ სისტემებზე“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 120-მა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ ფორუმებს ესწრებოდნენ მსოფლიოში ავტორიტეტული ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, რომლებიც როგორც საჯარო შესყიდვების ეფექტიანობაზე, ასევე ამ სფეროს მეტ გამჭვირვალობასა და მონიტორინგის გაუმჯობესებაზე მუშაობენ. გარდა ამისა, განხილულ იქნა ელექტრონული შესყიდვების სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები. - 2017 წლის 5-11 ნოემბერს, ქ. სტოკჰოლმში (შვედეთის სამეფო) და ქ. ჰააგაში (ნიდერლანდების სამეფო) გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაიმართა სამუშაო ვიზიტი. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომლსაც ახორციელებს GIZ-ის პროგრამა „სამართლებრივი აპროქსიმაცია ევროკავშირის სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიაში“. აღნიშნულ სამუშაო ვიზიტში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგელები. - 2017 წლის 12-17 დეკემბერს, ქ. პარიზში (საფრანგეთი) გაიმართა SIGMA-ს მინისტერიალი თემაზე: საჯარო მმართველობა ბიზნესისთვის და მოქალაქეებისთვის. აღნიშნულ კონფერენციაზე, გამოცდილების გაზიარების მიზნით იმყოფებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დელეგაცია.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ტრენინგი შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	ადამიანური რესურსები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული სუბიექტების თანამშრომლების ცოდნის გაღრმავება ევროკავშირის სახელწმიფო შესყიდვების შესახებ დირექტივებისა და შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის კუთხით	შემსყიდველი ორგანიზაციების და ეკონომიკური ოპერატორების გადამზადებული თანამშრომელების რაოდენობა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, 2017 წლის განმავლობაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო კურსი ჩაუტარდათ სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგნელებს, ასევე საქართველოს საჯარო სკოლების შესყიდვების კუთხით დასაქმებულ სპეციალისტებს. მსმენელთა თხუთმეტი ნაკადის საერთო რაოდენობამ ჯამურად 964 ადამიანი შეადგინა. ტრეინინგების თემატიკა მოიცავდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას, შესყიდვების საშუალებების ზოგად მიმოხილვას, სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესის მოდელირებას, გამარტივებული შესყიდვის პროცედურებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს, თეთრ და შავ სიას, კონკურსების გამართვის პრაქტიკულ ასპექტებს, აგრეთვე, დავების საბჭოს ფუნქციონირებას და ა.შ. 2017 წლის განმავლობაში, ასევე, მოეწყო სამი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა შესყიდვების სპეციალისტებისთვის, რომელსაც ჯამში 38 მსმენელი დაესწრო;
	ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავება და ელექტრონულად გამოცემა	სხვა	შესაბამისი ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები და სახელმძღვანელოები გამოცემულია	გამოცემული ინსტრუქციები მეთოდური მითითებები და სახელმძღვანელოები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	- GIZ-ის პროექტ „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“-ს მხარდაჭერის ფარგლებში გამოიცა შემდეგი დოკუმენტები: 1. 300 ხშირად დასმული შეკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; 2. სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი; 3. ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო-ს განახლებული ვერსიები. - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის შემაჯამებელი eNewsletter-ი, სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში; - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის I და II ნახევრის eNewsletter-ი, სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები, რომელიც შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 6 აპრილს განხორციელებული ცვლილებების ეფექტურად აღსრულების მიზნით.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
მხარეების მიერ ტენდერების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელების უზრუნველყოფა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, მუხლი 148**	ერთიანი ელექტრონული სისტემის განახლება	სხვა	ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით	განახლებული ერთიანი ელექტრონული სისტემა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	დასრულდა პირველი ეტაპის სამუშაოები Open Contracting Data Standard-ის დანერგვის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს როგორც აგრეგირებული, ასევე ცალკეულ შესყიდვებზე არსებული ინფორმაციის სპეციალურ machine readable ფორმატში (JSON) სისტემატურ პუბლიკაციას საგანგებოდ შექმნილ ახალ ვებგვერდზე http://opendata.spa.ge/. ამჟამად გამოქვეყნებულია სრულად 2015 და 2016 წლის მონაცემები, მიმდინარეობს სამუშაოები წინა წლების მონაცემების გამოსაქვეყნებლად. ვებგვერდზე ეტაპობრივად გამოქვეყნდება საჯარო ინფორმაცია და მონაცემები ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შესახებ JSON-ფორმატში სათანადო ვიზუალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებით. დაპროექტდა, შეიქმნა, გაიტესტა და გაეშვა სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმა კითხვარის სახით. შეიქმნა ახალი სისტემური შეტყობინებები, რომლებიც ეგზავნებათ მიმწოდებლებს სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმაში განხორციელებული ცვლილებებისას და დოკუმენტის ატვირთვისას. კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში შეიქმნა ახალი გამოკითხვის ფორმები. შეიქმნა საინფორმაციო SMS-ების გაგზავნის კონტროლის მექანიზმი. 2017 წლის 6 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების აღსასრულებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა შესაბამისი მოდიფიკაცია და დაემატა ახალი ელექტრონული სერვისები. გარდა ამისა, დაპროექტდა, შეიქმნა, გაიტესტა და გაეშვა შესყიდვის ახალი პროცედურა „ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფაკიით“ – TEP.
ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება						
სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურის	ეროვნული ეტალონების ბაზის განახლება, მეტროლოგიური ეტალონური ლაბორატორიების ახალი ხელსაწყოებით აღჭურვა	ინფრასტრუქტურა	დაინტერესებული მეწარმეებისათვის, ლაბორატორიებისათვის, მარეგულირებელი ორგანოებისათვის ახალი და/ან	ახალი ხელსაწყოებით აღჭურვილი მეტროლოგიური ლაბორატორიების რაოდენობა	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	CIB პროგრამის II ეტაპის და ასევე ქართული მხარის თანადაფინანსებით განახლდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ბაზა შემდეგ სფეროებში - რადიაციული გაზომვები, მცირე მოცულობები, ძალა, წნევა, აკუსტიკური გაზომვები, ტემპერატურა, ელექტრობა, ტენიანობა, რადიო-ფიზიკური გაზომვები, დრო და სიხშირე, გეომეტრიული გაზომვები, ოპტიკა, ფიზ-ქიმიური გაზომვები, მასა, დიდი მასები - საწონები და სასწორები. პროგრამის ფარგლებში ასევე, შეძენილ იქნა ე.წ. მობილური ლაბორატორია - სპეციალურად მოწყობილი სატვირთო ავტომანქანა, რაც საშუალებას იძლევა ლაბორატორიაში

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
განვითარების ხელშეწყობა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება;** **კარი IV ; თავი 3 - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება**			გაფართოებული სერვისების ხელმისაწვდომობა			დაკალიბრდეს დიდი წონის საწონები, ხოლო სასწორის განთავსების ადგილზე მაღალი წონის სასწორები. CIB პროექტის თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ 2017 წელს შეძენილ იქნა აღჭურვილობა შემდეგი ეტალონური განყოფილებების/ლაბორატორიებისათვის - რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების და ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილებისათვის. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება 2018 წელსაც. ეტალონური ბაზის განახლების შედეგად სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების მიერ დაინტერესებული მხარეებისათვის შეთავაზებული სერვისები მნიშვნელოვნად გიზარდა, დაემატა ახალი მიმართულებები ასევე მოხდა არსებულ სფეროებში დიაპაზონების გაზრდა.
	მეტროლოგის სფეროში განახლებული და აღჭურვილი პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარებისათვის მომზადება	ინსტიტუციური სისტემა	საერთაშორისოდ აღიარებული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა დაინტერესებული პირებისათვის მეტროლოგიის სფეროში	საერთაშორისო დონეზე აღიარებული ლაბორატორიების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა, CMC ჩანაწერები (დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები)	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	სააგენტოში 2017 წლის მაისში დაიწყო CIB პროგრამის III ეტაპი, ტვინინგ პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირს შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ღონისძიებები სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების მიღწევისათვის. სააგენტოს მიერ დაწყებულია მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მხრიდან აღიარებისათვის საჭირო პროცედურები. პირველ ეტაპი მოიცავს სააგენტოს მეტროლოგიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პრეზენტაციას COOMET-ის ტექნიკურ კომიტეტზე, რომელიც დაგეგმილია 2018 წელს. მეორე ეტაპი გულისხმობს COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის ექსპერტების მიერ ადგილზე შეფასების ჩატარებას იმ ლაბორატორიებში, რომლებიც წარდგენილი იქნება საერთაშორისო შეფასებისათვის. ამჟამად ტვინინგ პროექტის ექპერტებთან ერთად მიმდინარეობს გაზომვის იმ მიმართულებების საბოლოო შეჯერება, რომლებიც წარდგენილი იქნება ე.წ. თანასწორთა შეფასებაზე საერთაშორისო აღიარებისათვის.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	აკრედიტაციის სისტემის შემდგომი განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად	სხვა	განხორციელებულია ევროკავშირის პროექტი - აკრედიტაციის სისტემის შემდგომი განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად	პროექტის საბოლოო ანგარიში	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი (GAC)	2017 წლის ივლისში დასრულდა საკ-ში მიმდინარე "ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების (CIB) პროექტი „საქართველოში აკრედიტაციის სისტემის შემდგომი მხარდაჭერა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად“ და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. პროექტის, ფარგლებში2017 წელს ჩატარდა ტრეინინგები საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, შემდეგ სფეროებში: -სსტ ისო/იეკ 17020, -სსტ ისო/იეკ 17043 -სსტ ისო/იეკ 17021 -სსტ ისო/იეკ 17024 ასევე, ჩატარდა ტრეინინგები გაზომვების განუსაზღვრელობის, აკრედიტაციის მოქნილი სფეროს (Flexible scope) და სურსათის უვნებლობის სფეროში ნიმუშის აღების საკითხებზე. ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღეს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებმა, აკრედიტირებული ორგანოების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა ადმინისტრაციულმა პირებმა. გარდა ამისა 2017 წელს ჩატარდა 2 საკვალიფიკაციო ტესტირება - საკვალიფიკაციო ტესტირება სამშენებლო მასალების გამოცდაში - საკვალიფიკაციო ტესტირება დამიწების კონტურის წინაღობის განსაზღვრაში
	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს შემდგომი ინტეგრაცია ევროპის აკრედიტაციის თანამშრომლობაში (EA)	საერთაშორისო თანამშრომლობა	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ გაცემული აკრედიტაციის შედეგების აღიარება	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს და ევროპის აკრედიტაციის თანამშრომლობას (EA) შორის გაფორმებულია ურთიერთ აღიარების შეთანხმება	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი (GAC)	"2017 წლის 23 მაისს EA-ს გენერალურ ასამბლეაზე სლოვენიაში ხელი მოეწერა საქართველოში გაცემული აკრედიტაციის შედეგების აღიარების შეთანხმებას (EA BLA). აღიარება მოიცავს შემდეგ სფეროებს: - გამოცდები და დაკალიბრება (ISO/IEC 17025); - პროდუქტის სერტიფიკაცია (ISO/IEC 17065); - პერსონალის სერტიფიკაცია (ISO/IEC 17024); - ინსპექტირება (ISO/IEC 17020). საქართველოში უკვე შესაძლებელია ევროკავშირში აღიარებული სერტიფიკატი მიიღოს მეწარმემ ისეთ პროდუქტებზე როგორებიცაა: ხილი, ბოსტნეული, ხილის და ბოსტნეულისგან დამზადებული კონსერვები და სხვა სახის საკვები პროდუქტი, მინერალური და სასმელი წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ალკოჰოლიანი სასმელები, ფერადი და ძვირფასი ლითონები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, ავეჯი, გამზომი საშულებების დაკალიბრება და სხვ.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების თავით განსაზღვრული საკანონმდებლო დაახლოების პროცესის გაგრძელება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV; თავი 3 - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება**	ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2014/34/EU დირექტივასთან დაახლოების სამუშაოების დაწყება, რომელიც ეხება პოტენციურად ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელ მოწყობილობებსა და დამცავ სისტემებს	სამართლებრივი ჩარჩო	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მომზადებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ და მიმდინარეობს შესაბამის უწყებებს შორის განხილვა.
	ევროპის პარლამენტის და საბჭოს № 1999/5/EC დირექტივასთან დაახლოების დაწყება, რომელიც ეხება რადიო დანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ დანადგარებს და მათი შესაბამისობის ორმხრივ აღიარებას	სამართლებრივი ჩარჩო	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მომზადებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის რადიო დანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ დანადგარების შესახებ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამის უწყებებს შორის განხილვა.
	საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება; მათ შორის 1999/5/EC და 2014/34/EU დირექტივებთან ჰარმონიზებული სტანდარტების	სამართლებრივი ჩარჩო	საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების რაოდენობა	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	2017 წელს საქართველოს სტანდარტად სულ დარეგისტრირდა 2157 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო/იეკ (საერთაშორისო სტანდარტი)- 48; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)- 2105; სსტ (საქართველოს სტანდარტი)- 4. საქართველოს სტანდარტების პროგრამის შესაბამისად საქართველოს სტანდარტად მიღებულია 1999/5/EC და 94/9/EC დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები.
	სტანდარტიზაციის სფეროში ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N 1025/2012/ EU რეგულაციის ძირითად პრინციპებთან დაახლოება	სამართლებრივი ჩარჩო	ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება	მომზადებული პროცედურები და შიდა ნორმატიული დოკუმენტები	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	ტვინინგ პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირს შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“ ფარგლებში გათვალისწინებულია ღონისძიებები რეგულაცია 1025/2012/EU დაახლოვებისათვის, რაც მოიცავს ევროპელი ექსპერტების კონსულტაციებსა და სემინარებს, ასევე სასწავლო ვიზიტის ფარგლებში პრაქტიკული გამოცდილების მიღებას და ამ რეგულაციის დანერგვისათვის აუცილებელი აქტივობების იდენტიფიცირებას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის ძირითადი პრინციპების დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში	ინსტიტუციური სისტემა	დაინტერესებული პირებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის და ეფექტურობის გაუმჯობესება	მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტები	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის პერსონალმა გაიარა ტრეინინგები 9001 სტანდარტის მიხედვით ხარისხის მენეჯმენტის სისტემებსა და შიდა აუდიტორებზე. თანამშრომლებს გადაეცათ Lloyd's Register-ის საერთაშორისო სერტიფიკატები. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვის ხელშეწყობისათვის ასევე მიღებულ იქნა შემდეგი დოკუმენტები: სტანდარტის რეესტრის წარმოების წესი; საქართველოს სტანდარტების წყობის, გადმოცემისა და შინაარსისადმი მოთხოვნები. მიმდინარეობს სხვა აუცილებელი დოკუმენტების შემუშავება. ტვინინგის პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე მიმდინარეობს სხვა აუცილებელი დოკუმენტების მომზადება. 2017 წლის 11-12 ოქტომბერს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრეინინგი „ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტების შემუშავება“ "Elaboration of the quality management system documents (a quality manual, relevant procedures, instruction, forms etc.)".
დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ეკონომიკური ოპერატორების, მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება;** **კარი IV; თავი 3 - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება**	მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	ასოცირების შეთანხმებასა და DCFTA-სთან მიმართებაში სტანდარტებისა და მეტროლოგიის შესახებ, ცნობიერების ამაღლება	ჩატარებული სემინარების/ ტრეინინგების რაოდენობა	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	CIB პროექტის „საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ ფარგლებში: • 2017 წლის 2 თებერვალს ქ. თბილისში და 2017 წლის 20 აპრილს ქ. ბათუმში მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების სემინარი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში. სემინარში მონაწილეობა მიიღეს პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ევროპელმა ექსპერტებმა და საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. • 2017 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში CEN-CENELEC მენეჯმენტის ცენტრისა და სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა სემინარი „EU-Georgia Connecting Community-The Role of Standardization“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა; 2017 წლის 26 სექტემბერს გაიმართა ტვინინგ პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირს შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის “გახსნის კონფერენცია. ღონისძიების მიზანი იყო დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდება DCFTA ვალდებულებების შესრულებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე, ასევე

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროების მნიშვნელობასა და სააგენტოს სამომავლო გეგმებზე. 2017 წლის 21 და 22 დეკემბერს საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების პერსონალისათვის სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების მიერ ჩატარდა 2 სემინარი „სასწორებისა და საწონების გამოყენება ლაბორატორიებში - ძირითადი პრინციპები, მომსახურება და ხარისხის უზრუნველყოფა“. აღნიშნულ სემინარებში მონაწილეობა უკვე მიიღო ბიზნეს სექტორის, ლაბორატორიების, სახელმწიფო ორგანიზაციების 30 მდე წარმომადგენელმა. დიდი დაინტერესებისა და მოთხოვნის გათვალისწინებით 2 ანალოგიური სემინარის ჩატარება სააგენტოს მიერ იგეგმება 2018 წლის იანვრის თვეში.
შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და სააგენტოების მართვისთვის კადრების შემდგომი ტრენინგი. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება;** **კარი IV; თავი 3 - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება**	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	ადამიანური რესურსები	ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ის იმპლემენტაციაში ჩართული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	ჩატარებული სემინარების/ ტრეინინგების რაოდენობა	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	2017 წელს ჩატარდა შემდეგი სემინარები: • 2017 წლის 9-12 იანვარი: ისო 9001:2015 შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კურსის მომზადება, “Preparing for ISO 9001:2015 Quality Management System Course”; • CIB პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების თანამშრომლებმა სტაჟირება გაიარეს ევროპის მეტროლოგიის ინსტიტუტებში გაზომვების შემდეგი მიმართულებებით: გეომეტრიული გაზომვები, მცირე მოცულობები, ძალა, აირის ხარჯის გაზომვები, დიდი მასები, წნევა, აკუსტიკა, დრო და სიხშირე; • 2017 წლის 20 თებერვალი - 2 მარტს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სემინარი- “სტანდარტიზაციის სფეროში სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია“; • 2017 წლის 26-27 აპრილს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების თანამშრომლები გერმანელ ექსპერტთან ერთად იმყოფებოდნენ სომხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში მასის ახალი ლაბორატორიის (სასწორების დაკალიბრება) შექმნის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ მიკვლევადი იქნება GEOSTM-ის მასის ლაბორატორიასთან. • 2017 წლის 24-30 მაისს, სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სემინარში - „ტექნიკური კომიტეტის ჩამოყალიბების თავისებურებები

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						საგზაო ტრანსპორტის სფეროში და ჰარმონიზებული სტანდარტები როლი“. • 2017 წლის 20 ივლისს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრეინინგი თემაზე სააგენტოს სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი ევროკავშირის რეგულაციასთან 1025/2012 მიმართებაში საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად. . • 2017 წლის 11-14 სექტემბერს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრეინინგი სტანდარტების დეპარტამენტის საჭიროებების ანალიზი განვითარების სამოქმედო გეგმა. • 2017 წლის 13-16 ნოემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO-ს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგში " Developing National Standardization Strategies". • სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღებს სტანდარტიზაციის CEN-CENLEC მიერ ორგანიზებულ შემდეგ „ონლაინ“ (Webinar) ტრეინინგებში. 2017 წელს CIB ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ ლაბორატორიებში, ევროპელი ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარები და ტრეინინგები ახალ ხელსაწყოებთან და მეთოდებთან დაკავშირებით გაზომვების შემდეგი მიმართულებებით: გეომეტრია- კიდურა საზომები; ხარჯი-აირის ხარჯის გაზომვები, მასა - დიდი მასების კომპარატორის ექსპლუატაცია; დრო და სიხშირე - წამზომების დაკალიბრება, აკუსტიკური გაზომვები; ელექტრობა, წნევა -ორმხრივი შედარებების; ძალის გაზომვების სფეროში დაკლიბრების პროცედურა; ტენიანობა -დაკალიბრებისა და ორმხრივი შედარებების ორგანიზების საკითხები; ფოტომეტრია და რადიომეტრია - დაკალიბრების პროცედურები. სააგენტოს წარმომადგენელებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში: • სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების CEN/CENELEC გენერალური ასამბლეა -შოტლანდია, ედინბურგი; • სტანდარტიზაციის სართაშორისო ორგანიზაციის ISO გენერალურ ასსაბლეა - გერმანია, ბერლინი • ზომისა და წონისა საერთაშორისო ბიურო (BIPM) – გენერალური ასამბლეა - საფრანგეთი , პარიზი

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						• მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ტექნიკური კომიტეტის TC 1.2 „აკუსტიკა, ულტრაბგერა, ვიბრაცია“ შეხვედრა - ლიტვა, ვილნიუსი. • ევროპის მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის EURAMET-ის მიერ ორგანიზებული სემინარი ხარისხის მენეჯმენტის სისტემები და სემინარი სტანდარტიზაციის სართაშორისო (ISO) და EMPR (European Metrology Research Programme) პროგრამაში COOMET-ის წევრი მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების მონაწილეობის შესაძლებლობებზე.
"ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის განხორციელების გაგრძელება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV ; თავი 3 - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება**	საქართველოს კანონის - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის გადასინჯვა და მასში ცვლილებების შეტანა ბაზრის ზედამხედველობის განსახორციელებლად	სამართლებრივი ჩარჩო	სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შემუშავებულია	საქართველოს კანონში - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებები დამტკიცებულია და ასახავს ინსტიტუციური განვითარების გეგმითა და მრავალწლიან სამოქმედო გეგმის რეკომენდაციებს.	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ და დასამტკიცებლად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული ცვლილებებით, განისაზღვრა ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები და შესაბამისი სანქციები, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.
	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სტრუქტურული ცვლილების განხორციელება - ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ახალი თანამშრომლების აყვანა.	ინსტიტუციური სისტემა	სააგენტოს გაზრდილი ინსტიტუციური შესაძლებლობები ბაზარზე ზედამხედველობისათვის	სააგენტოს სტრუქტურული ცვლილება განხორციელებულია, სააგენტოს დებულებაში ცვლილებები შეტანილია,	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	სააგენტოში ჩამოყალიბდა ახალი ბაზარზე ზედამხედველობის სამმართველო, რომლის ფუნქციები განისაზღვრა სააგენტოს დებულებაში ცვლილებების შეტანით. ახალი სამმართველო განახორციელებს ბაზარზე ზედამხედველობას ეტაპობრივად „სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №641 დადგენილებით გათვალისწინებულ პროდუქტებზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				ახალი დამატებითი თანამშრომლები აყვანილია.		
	სააგენტოს ახალი სტრუქტურული ერთეულისათვის დამატებითი საოფისე ფართის მოწყობა და აღჭურვა	ინსტიტუციური სისტემა	გაუმჯობესებული შრომის პირობები და გარემო	სააგენტოს ახალი სტრუქტურული ერთეულისათვის დამატებითი საოფისე ფართი მოწყობილია	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	აღნიშნულ აქტივობასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ საჭირო აღჭურვილობები განსაზღვრულია და ხარჯთაღრიცხვა გაკეთებულია. ახალი სტრუქტურული ერთეულისათვის შეძენილი იქნა საოფისე ინვენტარი.
	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კომპიუტერული აღჭურვილობის განახლება	ინსტიტუციური სისტემა	სააგენტოს გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობები	კომპიუტერული აღჭურვილობა განახლებულია	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	აღნიშნულ აქტივობასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ განისაზღვრა საჭირო ტექნიკური საშუალებები და გაკეთდა ხარჯთაღრიცხვა. სააგენტოსთვის შეძენილ იქნა ახალი კომპიუტერული ტექნიკა.
	ზედამხედველობის ფარგლებში, ინსპექტირებების განსახორციელებლად ნიმუშების აღების, და ზედაპირული შემოწმებისთვის (screening test) ტექნიკური საშუალებების შეძენა;	ინსტიტუციური სისტემა	სააგენტოს გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობები	ინსპექტირებების განსახორციელებლად ტექნიკური საშუალებები შეძენილია;	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	ევროკავშირის მოკლევადიანი დახმარების პროექტის ექსპერტთან კონსულტაციების საფუძველზე იდენტიფიცირებული და შემდგომ სააგენტოს მიერ შეძენილი იქნა ზედაპირული შემოწმებისათვის აუცილებელი პირველადი საშუალებები. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს უფლებამოსილებები ეტაპობრივად გავრცელდება ინდუსტრიულ და სამომხმარებლო პროდუქტებზე 2017-2022 წლებში აუცილებელი აღჭურვილობების შეძენა გაგრძელდება საკანონმდებლო დაახლოების პარალელურად.
	სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის ყოველკვარტალური სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება	ინსტიტუციური სისტემა	სააგენტოს საქმიანობის დაგეგმვის გაუმჯობესებული პრაქტიკა	სააგენტოს ხელმძღვანელის შესაბამისი აქტით დამტკიცებულია ბაზარზე ზედამხედველობის	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	შემუშავდა და სააგენტოს უფროსის მიერ 2017 წლის 6 იანვარს დამტკიცდა ბაზარზე ზედამხედველობის 2017 წლის I კვარტალის, ხოლო 2017 წლის 3 აპრილს დამტკიცდა II კვარტალის სამოქმედო გეგმები. ასევე 2017 წლის 30 ივნისს დამტკიცდა სააგენტოს III კვარტლის სამოქმედო გეგმა. 2017 წლის 2 ოქტომბერს დამტკიცდა 2017 წლის IV კვარტლის სამოქმედო გეგმა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				მიმიდინარე წლის კვარტალური სამოქმედო გეგმები		
	სახელმძღვანელოების /სამოქმედო ინსტრუქციის მომზადება ბაზრის ზედამხედველობის შესახებ შემდეგი მიმართულებით: საბაგირო გზები, ლიფტები, წნევაზე მომუშავე მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე მარტივი ჭურჭლები და საქვაბე დანადგარები	ინსტიტუციური სისტემა	ბაზარზე ზედამხედველობის პროცესის შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან	მომზადებულია სახელმძღვანელოები/სამოქმედო ინსტრუქციები	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	ევროპელი ექსპერტების დახმარებით სააგენტოსთვის შემუშავდა მოკლევადიანი დახმარების პროექტის განხორციელების გეგმა ე.წ TOR, რომელიც მიზნად ისახავს სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას ახლად დაახლოებულ სფეროებში, მათ შორისაა წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მომუშავე მარტივი ჭურჭლები და ცხელი წლის ბოილერები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში გაიმართა შეხვედრები. ასევე, ევროკავშირის ექსპერტის მიერ შესწავლილი იქნა სააგენტოს საქმიანობა, ზედამხედველობის პროცედურები, მეთოდები, რომლის შედეგად გაიცა რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე სააგენტოს მიერ შემუშავებული იქნა სახელმძღვანელო /სამოქმედო ინსტრუქცია შემდეგი სფეროებისათვის: წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მომუშავე მარტივი ჭურჭლები, ცხელი წლის ბოილერები, საბაგირო მოწყობილობები და ლიფტები.
	ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან/რეგულაციებთან უკვე დაახლოებული 5 ახალი მიდგომის დირექტივით დაფარული სექტორებისათვის რისკის/საფრთხის ანალიზის პროცედურის შემუშავება და დანერგვა	ინსტიტუციური სისტემა	სააგენტოში რისკის შეფასება ხორციელდება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად	შემუშავებულია და მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია რისკის/საფრთხის ანალიზის პროცესის განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტი	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	2017 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში სააგენტოში განხორციელებული ევროკავშირის მოკლევადიანი პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესი, რომელიც გულისხმობს რისკის საფრთხის/ანალიზის პროცედურის შემუშავებას უკვე დაახლოებული 5 ახალი მიდგომის დირექტივებით დაფარული სფეროებისათვის (ლიფტები, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები, ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების უსაფრთხოება და თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები).
	ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება შემდეგი	ინსტიტუციური სისტემა	გაზრდილი უსაფრთხოება ინდუსტრიული და	განხორციელებულია შესაბამისი შემოწმებები	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედვე	სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდა საქართველოს ბაზარზე განთავსებულ 85 საქვაბე დანადგარზე, 10 წნევაზე მომუშავე მარტივ ჭურჭელზე და 20 წნევაზე მომუშავე მოწყობილობაზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	სფეროებისთვის: წნევაზე მომუშავე მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე მარტივი ჭურჭლები და საქვაბე დანადგარები.		სამომხმარებლო პროდუქტების სფეროში	და შედგენილია შესაბამისი ოქმები	ლობის სააგენტო (TCSA)	ბაზარზე ზედამხედველობის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები: საქვაბე დანადგარებს და წნევაზე მომუშავე მარტივ ჭურჭლებს არ ჰქონდათ შესაბამისობის დეკლარაცია ან გამოყენების ინსტრუქცია ან გამოყენების ინსტრუქცია არ იყო ქართულ ენაზე; არ იქნა წარმოდგენილი ტიპის გამოცდის სერტიფიკატი. სააგენტოს მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები აღნიშნული დარღვევების გონივრულ ვადაში გამოსწორების თაობაზე. ბოილერების და მარტივ წნევაზე მომუშავე ჭურჭლების ორგანიზაციების წარმომდგენლებთან გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილული იქნა შეუსაბამობები და დასახული იქნა მათი გადაჭრის გზები.
	მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება ბაზრის ზედამხედველობის ცნობიერების გაზრდის მიზნით	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	საზოგადოების გაუმჯობესებული აღქმადობა ბაზრის ზედამხედველობის პროცესის შესახებ	ჩატარებული შესაბამისი შეხვედრები (შეხვედრების რაოდენობა) მიზნობრივი ბაზრის წარმომადგენლებთან და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	2017 წლის 27 თებერვალს სააგენტოს ოფისში გაიმართა შეხვედრა საქართველოში არსებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან. 2017 წლის 30 მაისს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ,,საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-თან. ასევე თებერვლის თვეში შეხვედრები გაიმართა საქვაბე დანადგარების სარეალიზაციო ადგილების მფლობელებთან ბაზრის ზედამხედველობაზე ცნობიერების გაზრდის მიზნით. შეხვედრა გაიმართა სანთებელების საქართველოში იმპორტიორ კომპანიების წარმომადგენლებთან ახალი რეგულაციებისა და ბაზრის ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებით.
	საბაჟო ორგანოებსა და სააგენტოს წარმომადგენლებისგან ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიკრიბება რეგულარულად საქართველოში იმპორტირებული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით	ინსტიტუციური სისტემა	გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობა	სამუშაო შეხვედრების რაოდენობა	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 24 მაისს უფროსის N ს-76 ბრძანებით შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლების შემადგენლობით. ა/წ 26 სექტემბერს გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განხილული იქნა არსებული ბაზარზე ზედამხედველობის რეგულაციები და დაისახა სამომავლო გეგმები.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ბაზარზე ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაციებში (როგორიცაა მაგალითად PROSAFE) გაწევრიანების შესაძლებლობების ანალიზი	ინსტიტუციური სისტემა	ბაზრის ზედამხედველობის სფეროში საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების შესახებ ინფორმირება	გაწევრიანებისთვის საჭირო ანალიზი ჩატარებულია	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	ბაზარზე ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაციებში მათ შორის PROSAFE -ში გაწევრიანების შესაძლებლობების ანალიზი განხორციელებულია. შესწავლილი იქნა როგორც საერთაშორისო, ისე ევროპის რეგიონალური ორგანიზაციები, განისაზღვრა ის ორგანიზაციები, რომელთანაც სააგენტოს სურს თანამშრომლობა, კერძოდ, სამომხმარებლო პროდუქტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაცია (ICPHSO) და PROSAFE.
	სათანადო ლაბორატორიების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეეძლებათ შესაბამისი ტექნიკური კვლევების ჩატარება	ინსტიტუციური სისტემა	გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობის პროცესი	იდენტიფიცირებულია ლაბორატორიები	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	განხორციელდა 13 ლაბორატორიების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლიათ ტექნიკური კვლევების ჩატარება ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში შემდეგ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქობულეთში, ხაშურში, ფოთში. ლაბორატორიები მოქმედებენ შემდეგ სფეროებში: სამშენებლო პროდუქტები -11 ლაბორატორია; ფეთქებადი ნივთიერებები - 1; პერსონალური დაცვის აღჭურვილობები -1.
ინტელექტუალური საკუთრების დაცვა						
ორივე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლების მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფა და ამ უფლებების დაცვისთვის შესაბამისი მექანიზმების შემოღება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 9 - ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**	საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად.	სამართლებრივი ჩარჩო	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა დაახლოვებულია შესაბამის ევროკავშირის კანონმდებლობასთან.	მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	საქპატენტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ზომების გაძლიერებას და მათი ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების შემოღებას, საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2017 წლის 23 დეკემბერს. კერძოდ, ცვლილებები შეეხება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: ➢ საქართველოს საპატენტო კანონი; ➢ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ; ➢ საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ; ➢ საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ; ➢ საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ; ➢ საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ; ➢ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
	ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტების შესახებ მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	საზოგადოება ინფორმირებულია მომსახურების აღნიშნული ფორმის	ჩატარებულია მედია - სემინარი; გავრცელებულია მინიმუმ 1,000	აღსრულების ეროვნული ბიურო (იუსტიციის სამინისტრო)	მომზადდა და საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლებსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფისებში გავრცელდა ფაქტების კონსტატაციის შესახებ 4000 ცალი ტრიპლეტი, როგორც ქართულ ენაზე, ასევე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	(ფაქტების კონსტატაცია) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება		შესახებ,	ტრიპლეტი აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და იუსტიციის სახლებში		2017 წლის 22 ივნისს განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები ბიზნეს სექტორისა და ადვოკატებისთვის ფაქტების კონსტატაციის სერვისის მათ საქმიანობაში გამოყენების მიზნით. 2017 წლის 24 თებერვალს გაიმართა საინფორმაციო სემინარი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან; 2017 წლის 30 მაისს გაიმართა საინფორმაციო სემინარი ინოვაციური ცენტრის წევრ სტუდენტებთან; 2017 წლის 19 ივნისს გაიმართა საინფორმაციო სემინარი თსუ-ს სტუდენტებთან; 2017 წლის 20 ივნისს გაიმართა საინფორმაციო სემინარი სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ახალგაზრდული პროგრამების მონაწილე მოზარდებთან; 2017 წლის 7 ნოემბერს გაიმართა საინფორმაციო სემინარი თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრ სტუდენტებთან; 2017 წლის 13 დეკემბერს გაიმართა საინფორმაციო სემინარი სხვადასხვა უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან. 2017 წლის 18 დეკემბერს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა სხვადასხვა მედია საშუალებების წარმომადგენლებთან, სერვისის შესახებ, მათი მხრიდან შემდგომში საზოგადოების უკეთ და სწორად ინფორმირების მიზნით.
აღსრულების კუთხით, შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების კომპეტენციის გაძლიერება, ისევე, როგორც სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას უფლების მფლობელობისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური	შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება.	ადამიანური რესურსები	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლების, მოსამართლეთა და ადვოკატთა ამაღლებული კვალიფიკაცია და ინტელექტუალური საკუთრების	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	2017 წლის 12 აპრილს, საქპატენტის ოფისში გაიმართა შეხვედრა საქპატენტსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში. შეხვედრაზე საქპატენტის თავმჯდომარემ ასოციაციის წევრებს გააცნო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სასაქონლო ნიშნების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან შემდგომ დაახლოება. შეხვედრაზე აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. 2017 წლის 23-25 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით და ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: "სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით". შეხვედრაზე ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ამერიკის შეერთებული შტატების

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
იმპლემენტაცია. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 9 - ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**			სფეროში სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული მუშაობა.			სასამართლოს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. 2017 წლის 12-13 დეკემბერს ქ. თბილისში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (ისმო) და საქპატენტის ორგანიზებით, ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების თემაზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს საბაჟო და საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლები, ასევე მოსამართლეები. შეხვედრის ფარგლებში, ინგლისიდან, ესტონეთიდან, მოლდოვადან და ისმო-დან მოწვეულ დარგის ექსპერტებთან ერთად განიხილეს საქართველოში სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციისა და საავტორო უფლებების მეკობრეობის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ასპექტები და არსებული გამოწვევები. ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები. აღნიშნული შეხვედრისათვის ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ისმო-ს სახელმძღვანელო სამართალდამცავი უწყებებისა და პროკურორებისათვის - ,,ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა“, რაც დახმარებას გაუწევს პროკურორებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დანაშაულთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას.
სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას სამრეწველო საკუთრების უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან	საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრეინინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება.	ადამიანური რესურსები	გაძლიერებულია საქპატენტის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების გაძლიერება, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქციები (სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო	ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სემინარების რაოდენობა.	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	"2017 წლის, 15-17 მარტს, საქპატენტისა და ისმო-ს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენერებისათვის ჩატარდა ტრენინგი - ,,ისმო-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსის - DL-101 გადამუშავებისა და სწავლების შესახებ“. ტრენინგი მიზნად ისახავდა ქართველი ტრენერებისთვის DL-101 კურსის გადამუშავების და სწავლების მეთოდოლოგიის გაცნობას. ქართველ ტრენერებს ასევე ჩაუტარდათ ტრენინგი DL-101 კურსის სწავლებაზე და წარმატებული შეფასების მიღების შემთხვევაში მათ გადაეცემათ ისმო-ს აკადემიის აკრედიტებული ტრენერის სერტიფიკატები, რაც მათ, საქართველოში, ისმო-ს აკადემიის პლატფორმაზე აღნიშნული კურსის სწავლების უფლებას მიანიჭებს. ისმო-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის - DL-101 ქართული ვარიანტის შემუშავების შემდეგ, აღნიშნული კურსი განთავსდება ისმო-ს აკადემიის პლატფორმაზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება უსასყიდლოდ გაიაროს დისტანციური კურსი ქართულ ენაზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
თანამშრომლობის გაფართოვება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 9 - ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**			უფლებების დაცვა).			2 – 4 მარტს (2017 წ.) სტამბულში მოეწყო გამოგონებების საერთაშორისო გამოფენა, სადაც 24 ქვეყნის 264 ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრა გაიმართა თურქეთისა და საქართველოს საპატენტო უწყებების ხელმძღვანელებს შორის, სადაც განიხილეს სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები. ასევე გაიმართა ქართველი და თურქი პატენტრწმუნებულების შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს და თურქეთის ინტელექტუალური საკუთრების სისტემების გაცნობას და თანამშრომლობის გაღრმავებას. 2017 წლის, 24-25 აპრილს, ქართველი ექსპერტებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქპატენტს ეწვივნენ სასაქონლო ნიშნებისა და გამოგონების ექსპერტები თურქეთის საპატენტო უწყებიდან. მათ ქართველი კოლეგებისათვის ჩაატარეს ტრენინგები სასაქონლო ნიშნებისა და გამოგონებების დაცვისა და ექსპერტიზის აქტუალურ საკითხებზე. 2017 წლის 24-27 აპრილს, საქართველოს ეწვია თურქი პატენტრწმუნებულების 20 კაციანი ჯგუფი და გამართეს შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. ვიზიტის ფარგლებში, თურქი პატენტრწმუნებულები გაეცნენ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს განაცხადების რაოდენობის ზრდას ორ ქვეყანას შორის. 2017 წლის 6 მარტს, მოლდოვასა და საქართველოს შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პროგრამის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გამართა მოლდოვას ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს - AGEPI-ს წარმომადგენლებთან. საქართველოსა და მოლდოვას პარტნიორობა მიმართულია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებაზე, ორი ქვეყნის ინტერესების საერთაშორისო დონეზე დაცვასა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან დაახლოებაზე. 2017 წლის 24 მაისიდან, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების პრაქტიკის საერთაშორისო მონაცემთა ბაზა „დართს-აიპი“ (Darts ip) ხელმისაწვდომი გახდა საქპატენტის ექსპერტებისთვის. საქპატენტმა და Darts ip-მა (Darts ip-ი -

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						უმსხვილესი კომპანია, რომელიც კომერციული მიზნით აგროვებს და საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს სხვადასხვა ქვეყნების უწყებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში), ბარსელონაში მიმდინარე სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს 5 წლის ვადით. მემორანდუმის თანახმად, Darts ip-ი და საქპატენტი გაცვლიან ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში არსებული პრაქტიკის შესახებ. გარდა ამისა, Darts ip-ი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ტრენინგები ქართველი მომხმარებლებისთვის. 2017 წლის 1 ივნისიდან საქართველოს მოქალაქეებს და რეზიდენტებს შესაძლებლობა აქვთ საერთაშორისო საპატენტო განაცხადი (PCT განაცხადი) საქპატენტში შეიტანონ ელექტრონულად, ePCT პლატფორმის (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ელექტრონული სისტემა, რომელშიც ჩართულია PCT პროცედურის ყველა რგოლი), გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2017 წლის 28 - 29 ივნისს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - საქპატენტში ჩატარდა ePCT პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული ორდღიანი ტრენინგი, რომელიც ჩაატარა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) წარმომადგენელმა. მიმდინარე წლის 13 ივნისს, საქართველოს ორდღიანი საქმიანი ვიზიტით ეწვია ისმო-ს (WIPO) გენერალური დირექტორის მოადგილე ჯონ სენდეიჯი, რომელიც ვიზიტის ფარგლებში დაესწრო და გახსნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, - „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“. ამასთან, მან შეხვედრა გამართა საქპატენტის თავმჯდომარესთან და საქპატენტის წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს საქპატენტში მიმდინარე პროცესები, ისმო-ს როლი საქპატენტის საქმიანობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით და სამომავლო გეგმები. 2017 წლის 14 ივნისს, საერთაშორისო კონფერენციაზე: - „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“, კონფერენციის დასრულებისთანავე

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ-საქპატენტს შორის. 2017 წლის 10 ივლისს საქპატენტის დელეგაცია იმყოფებოდა ვიზიტით ალიკანტეში (ესპანეთი). აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავდა EUIPO-სა და საქპატენტის ელექტრონული მმართველობის სისტემური განვითარებისა და ინტეგრაციის შემდეგ ეტაპს. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის ხელმძღვანელმა, მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების უწყებების აღმასრულებელთა შეხვედრის კვირეულში. 2017 წლის 20 ივლისს, ქ. ბათუმში გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყების (SIPO) კომისრის მოადგილის შეხვედრა, სადაც მხარეებმა განიხილეს ორ უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, დასახეს სამომავლო გეგმები და პერსპექტივები. შეხვედრის დასასრულს, უწყებებს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში, ხელი მოეწერა ორწლიან სამოქმედო გეგმას. 2017 წლის 12-13 სექტემბერს, თურქეთში, ქ. ტრაპიზონში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო), საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ და თურქეთის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების „თურქპატენტი“-ს ორგანიზებით ჩატარდა გეოგრაფიული აღნიშვნების რეგიონული სიმპოზიუმი, სადაც განიხილეს წარმოშობაზე დაფუძნებული პროდუქტების სამართლებრივი დაცვის საკითხები. სიმპოზიუმის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში იმსჯელეს გეოგრაფიული აღნიშვნის განვითარების სტრატეგიასა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სოციო-ეკონომიკურ გავლენებზე, გაეცნენ თურქეთისა და საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემებს და გაიზიარეს ევროკავშირის გამოცდილება გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის აღსრულების მიმართულებით. 2017 წლის 18 - 22 სექტემბერს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ ორგანიზებით, ქ. თბილისში, საქპატენტის სასწავლო ცენტრში,

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ისმო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა ინგლისურენოვანი ,,სასწავლო კურსი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ". სასწავლო კურსის ფარგლებში მონაწილეებმა მოისმინეს საქპატენტის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ლექციები გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, გაეცნენ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, დაცვის სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს და საერთაშორისო პრაქტიკას. კურსის ფარგლებში გაიმართა დისკუსია სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, ბრენდინგის სტრატეგიებსა და ამ მნიშვნელოვან პროცესში გეოგრაფიული აღნიშვნების როლზე. აღნიშნული კურსი განკუთვნილია სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტებისათვის. კურსის მიზანია დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება. კურსის დასრულებისას, 12 ქვეყნის წარმომადგენელს გადაეცათ სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. 2017 წლის 2-11 ოქტომბერს, ქ. ჟენევაში გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური ასამბლეის 57-ე სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის დელეგაციამ. ასამბლეის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ისმო-ს გენერალურ დირექტორთან, რომლის ფარგლებში მოხდა საქპატენტის ბაზაზე შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის საქმიანობისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის შეფასება. გამართული შეხვედრებისას გადაწყდა, რომ საქართველო იქნება მსოფლიოს მესამე ქვეყანა, სადაც დაინერგება მადრიდის eFiling სისტემა. ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელი დირექტორთან მოხდა საქპატენტისა და EUIPO-ს თანამშრომლობის საკითხების განხილვა. აღნიშნული ასამბლეის ფარგლებში ხელი მოეწერა ასევე საქპატენტსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ასევე უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილისა და საქპატენტის თავმჯდომარის მიერ მოეწერა ხელი მემორანდუმს - ,,სახელმწიფო დაწესებულების - უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის, საერთაშორისო საძიებო (ISA) და წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის (IPEA) უფლებამოსილ ორგანოდ აღიარების თაობაზე".

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2017 წელს შვეიცარიასთან გაიმართა მოლაპარაკებები „გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, რომლის ფარგლებშიც მხარეები შეჯერდნენ პროექტის საბოლოო ტექსტზე. აღნიშნული პროექტით, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, ნაცვალგების წესით დაიცვება შვეიცარიის ტერიტორიაზე. შეთანხმება, ასევე მიმართული იქნება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებაზე. 2017 წელს, ანალოგიური შეთანხმების ხელმოწერაზე მოლაპარაკებები გაიმართა ასევე, მოლდოვას რესპუბლიკასთან. 2017 წლის 7 ნოემბერს საქპატენტში, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და კიბერუსაფრთხოების საკითხების განსახილველად, შედგა შეხვედრა „მაიქროსოფთის“ „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პროგრამული უზრუნველყოფის აქტივების მართვისა და შესაბამისობის“ დირექტორთან, რომლის ფარგლებშიც მოხდა მომხმარებლებისთვის კიბერდარტყმებისგან თავის დაცვის სერვისის შეთავაზების ინიციატივის განხილვა. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, ასევე განხილულ იქნა ლიცენზირებული კომპიუტერული პროდუქტების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული ვითარება და მოხდა შემდგომი თანამშრომლობის გეგმების დასახვა ციფრულ სივრცეში მეკობრეობისა და საავტორო უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.
ინტელექტუალური საკუთრებისა და სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის	სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერება ამაღლებულია	200-300 გადამზადებული პირი	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2017 წლის 11 მაისს, საქპატენტის ხელმძღვანელი პირების მიერ, მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო ქართველი მეწარმეების დახმარება ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, რაც ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მათთვის ეკონომიკური ღირებულების შექმნას. ღონისძიება გაიმართა ევროკავშირის პროექტის ,,ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (VIP4SME) ფარგლებში, რომელშიც საქპატენტი 2016 წელს ჩაერთო და რომელსაც აფინანსებს ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის “Horizon2020”. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა მცირე და საშუალო საწარმოს წარმომადგენელმა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
უზრუნველყოფა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 9 - ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**						მიმდინარე წლის 14 ივნისს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის დაარსებიდან 25 წლის თარიღთან დაკავშირებით, თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“. კონფერენცია, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მხარდაჭერით ჩატარდა. კონფერენციაზე იმსჯელეს ინოვაციებისა და ინტელექტუალური საკუთრების მზარდ როლზე თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში და ინოვაციის ხელშეწყობის აუცილებლობაზე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისათვის. კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს მთავრობის წევრები, WIPO-ს, ევროპის საპატენტო უწყების, სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და სამრეწველო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენციას ესწრებოდა 100 მონაწილე. საქპატენტმა სხვადასხვა სახით მონაწილეობა მიიღო ათამდე საინოვაციო კონკურსსა და საგანმანათლებლო პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდებისა თუ სხვადასხვა დაინტერესებული პრებისათვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებას. 2017 წლის 5 ივლისს, საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) ორგანიზებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი. ამ ღონისძიებას წინ უძღვოდა საზაფხულო სკოლის ტრენინგები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) დაფინანსებით განხორციელდა. იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარების მიზანი იყო მომავალი იურისტების ცოდნის გაღრმავება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 30-მა სტუდენტმა. 2017 წლის 7 ივლისს, საქპატენტის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. შეხვედრის მიზანი იყო, ქართველი მეწარმეების დახმარება, ინტელექტუალური საკუთრების პორტფელის შემუშავებასა და მენეჯმენტში. შეხვედრა ჩატარდა ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის ,,Horizon 2020” -ის მიერ დაფინანსებული ,,ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						(Value of Intellectual Property for SMESVIP4SME) პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 27 მცირე და საშუალო საწარმოს წარმომადგენელი. 2017 წლის 24 ივლისს, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციისა (ELSA) და საქპატენტის ორგანიზებით გაიხსნა სამართლის საზაფხულო სკოლა, სადაც ევროკავშირის 14 ქვეყნის 40 სტუდენტმა გაიარა ერთკვირიანი აკადემიური სასწავლო კურსი თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. სწავლების პერიოდში ევროპული და ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებმა მოისმინეს საქპატენტის ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სპეციალისტების ლექციები ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის საშუალებების შესახებ. საქპატენტის მოწვევით სწავლების პროცესში ასევე, მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ექსპერტი. 2017 წლის 24 სექტემბრიდან - 8 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, გაიმართა „მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი 2017“, სადაც წარმოდგენილი იქნა ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალი - ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევები. სკოლის მოსწავლეებისათვის თბილისსა და რეგიონებში გაიმართა სამეცნიერო პიკნიკი, სადაც ჩატარდა სახალისო გაკვეთილები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. ფესტივალს დაესწრო 1000 ადამიანზე მეტი. 2017 წლის 16 ოქტომბერს, მოქმედებაში გაეშვა წინასწარი საპატენტო ძიების სერვისი, რაც გულისხმობს საპატენტო ძიებას საერთაშორისო კომერციული და არაკომერციული საპატენტო ბაზების, ასევე არასაპატენტო (მაგ. სამეცნიერო) ლიტერატურის ბაზების გამოყენებით. ძიების მასალები და ანგარიშები გამომგონებლებს დაეხმარება მათი საქმიანობის სფეროში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობაში, საპატენტო განაცხადის მომზადებამდე მათი გამოგონების პატენტუნარიანობის წინასწარ შეფასებაში და შემდგომი ნაბიჯების უკეთ დაგეგმვაში. 2017 წლის 18 ნოემბერს „საქპატენტმა“ სხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქართული სტარტაპების ასოციაციისა და Start Business Solutions- ის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ორგანიზებით გამართულ გამოფენაში Start-In-Georgia - „ყველაფერი ჩემი სტარტაპისთვის“. აღნიშნულ გამოფენაზე საქპატენტის ექსპერტებმა დაინტერესებულ სტუმრებს მიაწოდეს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობასა და როლზე ბიზნესის განვითარების მიმართულებით. სტუმრებს დაურიგდებათ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საინფორმაციო ბუკლეტები. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა დაახლოებით 300 მონაწილე. 2017 წლის 15 დეკემბერს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მიერ წევრი ქვეყნებისათვის მიცემული რეკომენდაციების ფარგლებში, ჩატარდა ჰაკათონი, რომლის მსვლელობისას მონაწილეებმა რეალობად აქციეს იდეა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თემატიკის - „ინოვაცია - ცხოვრების გაუმჯობესებისთვის“ შესახებ. აღნიშნული ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის მნიშვნელობის გააზრებას და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლება. ჰაკათონში მონაწილეობა მიიღო 30-მა დაინტერესებულმა პირმა.
	საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენები, ბუკლეტები და სხვა მასალები ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.	დაახლოებით, 15000 ერთეულით გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალები.	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	მომზადდა და გამოიცა: ➢ წიგნი 1 „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ (312გვ.) – 505 ც. ➢ სასკოლო წიგნი „კომპასი “ (12 გვ.) – 2600 ც. ➢ სასკოლო წიგნი „ქოლგა“ (14 გვ.) – 600 ც. ➢ სასკოლო წიგნი „სარეცხის მანქანა“ (14 გვ.) – 600 ც. ➢ სასკოლო წიგნი „ვარსკვლავ-სანთლები“ (12 გვ.) – 600 ც. ➢ სასკოლო წიგნი „დორემიუს-სოლასი“ (12 გვ.) – 600 ც. ➢ ბროშურა „ინტ. საკუთრების უფლებების აღსრულება“ (16 გვ.) – 150 ც. ➢ ბროშურა „დიზაინი“ (20გვ.) – 875 ც. ➢ ბროშურა „სასაქონლო ნიშანი“ (16გვ.) – 880 ც. ➢ ბროშურა „გამოგონება და სასარგებლო მოდელი“ (16გვ.) – 835 ც. ➢ ბროშურა „გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება“ (16გვ.) – 825 ც. ➢ ბროშურა „მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიში“ (12გვ.) – 825 ც. ➢ ბროშურა „გამოგონება და სასარგებლო მოდელი“ (20 გვ.) – 100 ც. ➢ ბროშურა „თქვენი ნიშნის დაცვა საზღვარგარეთ“ (12 გვ.) – 350 ც. ➢ ბროშურა „სასაქონლო ნიშანი თქვენი ბიზნესის წარმატებისთვის“ - (8 გვ.) – 550 ც.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						➢ საინფ. ფურცელი „დიზაინი“ (4გვ.) – 600 ც. ➢ საინფ. ფურცელი „სასაქონლო ნიშანი“ (4გვ.) – 600 ც. ➢ საინფ. ფურცელი „გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება“ (4გვ.) – 600 ც. ➢ საინფ. ფურცელი „მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიში“ (4გვ.) – 600 ც. ➢ საინფ. ფურცელი „გამოგონება და სასარგებლო მოდელი“ (4გვ.) – 600 ც. ➢ „წლიური ანგარიში/2016“ (60 გვ.) – 525 ც. ➢ „Annual Report/2016“ (60 გვ.) – 200 ც. ➢ ქართული ყველის რუკა - 100 ც. ➢ ქართული ღვინის რუკა - 150 ც. ➢ ქართული ღვინის და ყველის რუკები (3 სახის) – 350; ➢ ქართული ღვინის და ყველის პასპორტები (22 სახის) – 1000 ც. ➢ სოფლის მეურნეობის და საკვები პროდუქტის რუკა - 100 ც. ➢ საზღვარგარეთ რეგისტრირებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის რუკა - 100 ც. ➢ ფლაერი რეგისტრაციის პროცედურების შესახებ 10 სახის (ორენოვანი) – 1000 ც. ➢ საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციის ჟურნალი „მეგზური“ 3/2017წ. (26 გვ.) – 300 ც. ➢ საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციის ჟურნალი „მეგზური“ 4/2017წ. - (20გვ.) – 100 ც. ➢ სახელმძღვანელო ,,ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა“ (74 გვ.) – 30 ც.
კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მხარეთა შორის გაზიარება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის**	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; სხვა.	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ბრძოლის გაზრდილი ეფექტურობა; საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობა	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ორგანიზებული სამუშაო შეხვედრებისა და	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2017 წლის 20-21 ივლისს, ქ. ბათუმში, გაიმართა რიგით მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“, რომლის მიზანია საჯარო და კერძო სექტორის დიალოგის გაძლიერება კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში, ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით და უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით. 2017 წლის 8 დეკემბერს შედგა საკოორდინაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა, რომელზეც საბჭოს წევრებმა განიხილეს

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 9 - ინტელექტუალური საკუთრების უფლებები	საკოორდინაციო საბჭოსთან ორმხრივი შეხვედრების გამართვა; კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების გაზიარება მხარეებს შორის.			ტრენინგების რაოდენობა.		ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემური საკითხები და დასახეს მოქმედების სამომავლო გეგმები.
კონკურენცია						
კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური ჩარჩოსა და შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის გარანტირების უზრუნველყოფა, ისევე როგორც კონკურენციის სფეროსა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობების აღსრულების ნაწილში დიალოგის გაღრმავება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების, **კარი IV, თავი 10 - კონკურენცია**	კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ინფორმაციული შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	საჯარო და კერძო სექტორის გაზრდილი ინფორმირებულობა	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების და სემინარების რაოდენობა	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	2017 წლის განმავლობაში, კონკურენციის პოლიტიკასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 12 შეხვედრა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების, კერძო და საჯარო სექტორის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით. მათ შორის, მიმდინარე წლის 2 თებერვალს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მხარდაჭერის პროექტის ეგიდით, ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა კონკურენციის ადვოკატირების სემინარი , რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კონკურენციის როლი და უპირატესობები ბიზნესისთვის; კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში და საქართველოში კონკურენციის აღსრულების ინსტიტუციური ჩარჩო. ასევე აღსანიშნავია, რომ დაიწყო ევროკავშირის დახმარების 2-წლიანი პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“. პროექტის პრეზენტაცია 2017 წლის 24 მარტს გაიმართა პროექტი ემსახურება სამ ძირითად მიზანს: გაზარდოს და გააძლიეროს კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობა, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ კონკურენციის პოლიტიკის სათანადოდ აღსრულებას, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად (კომპონენტი 1); გააუმჯობესოს თანამშრომლობა კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის (კომპონენტი 2); ხელი შეუწყოს ქართულ საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დამკვიდრებას (კომპონენტი 3). პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები და ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოს მაღალი რანგის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						წარმომადგენლები დაეხმარებიან, როგორც საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, ასევე სხვა დაინტერესებულ უწყებებს (სამინისტროები, დარგობრივი მარეგულირებლები, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებაში ჩართული საჯარო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები), რათა გაძლიერდეს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობები და გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ჩარჩო. "საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში გაიმართა ორი მაღალი დონის ვიზიტი, კერძოდ საქართველოს ესტუმრნენ OECD-ის კონკურენციის კომიტეტის თავმჯდომარე, მსოფლიოს წამყვანი ექსპერტი კონკურენციის საკითხებში, საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ფრედერიკ ჯენი და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი ტერესა მორეირა. მათ გამართეს შეხვედრები მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებთან, სადაც ისაუბრეს საქართველოში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობასა და მათ განვითარების პერსპექტივებზე. პროექტის ფარგლებში ასევე გაიმართა სემინარი თემაზე „კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვებში - ტენდერებში შეთანხმებული მონაწილეობის შემთხვევების დადგენა“, და გაიმართა შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან თემაზე „როგორ დავიცვათ ბიზნესი საქართველოში არაჯანსაღი კონკურენციისაგან და როგორ გავხადოთ ის კონკურენტუნარიანი ევროპის ბაზარზე“. EBRD-ის პროგრამის "საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ადვოკატირება" ფარგლებში გაიმართა გასვლითი სემინარი მედიის წარმომადგენლებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ტელე, ონლაინ და ბეჭდური მედიის 20-ზე მეტმა წარმომადგენლემა. ასევე ჩატარდა თანამშრომლობის პროგრამის სემინარი. სემინარის ფარგლებში უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს ევროპასა და აშშ-ში თანამშრომლობის პროგრამის განვითარების ისტორია და პერსპექტივა გაუზიარეს. 2017 წლის 17-18 ნოემბერს, EBRD-ის ხელშეწყობით, გაიმართა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, რომელიც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის 25 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებას ესწრებოდა 200-მდე სტუმარი, მათ შორის, 20-ზე მეტი ევროპული სახელმწიფოს კონკურენციის უწყებათა წარმომადგენელი. კონფერენციის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ფარგლებში ხელი მოეწერა 6 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს - ბელარუსის, ესტონეთის, ლატვიის, მოლდოვის, რუმინეთისა და ჩეხეთის კონკურენციის ორგანოებთან.
	კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე	ადამიანური რესურსები	კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა ამაღლებული კვალიფიკაცია	ჩატარებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებების რაოდენობა და მონაწილე თანამშრომლების რაოდენობა	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	2017 წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა 16 ღონისძიება, მათ შორის, რამდენიმე ღონისძიება „2016-2018 წლების ტრენინგების გეგმის დამტკიცების შესახებ" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 დეკემბრის N199 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ტრენინგი გაიარა სააგენტოს 30-მდე თანამშრომელმა. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ სამუშაო ვიზიტები გამართა გერმანიაში, აშშ-ში, პორტუგალიაში, უნგრეთში, შვეიცარიაში, ყაზახეთში, თურქეთსა და სომხეთში. ვიზიტების ფარგლებში უცხოელ კოლეგებთან და კონკურენციის პოლიტიკის ექსპერტებთან განხილულ იქნა კონკურენციის სფეროს აქტუალური საკითხები, მათ შორის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები. გარდა ამისა, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) ყოველწლიურ შეხვედრაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ ორგანიზებულ რამდენიმე საერთაშორისო სემინარში; დაესწრნენ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ორგანოში (UNCTAD) მომხმარებელთა დაცვის კანონისა და პოლიტიკის მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის მე-2 და კონკურენციის კანონისა და პოლიტიკის მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის მე-16 შეხვედრას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის გლობალური ფორუმის მე-16 შეხვედრას. განხორციელდა სამუშაო ვიზიტები რუმინეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ჩეხეთსა და ლიტვაში. სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე წარმატებით გაიარეს ევროკავშირის პროექტის, "საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა" ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგები კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან საკითხებზე. იმავე პროექტის ფარგლებში სააგენტოს ერთმა წარმომადგენელმა გაიარა 2-კვირიანი სტაჟირება OECD-ის კონკურენციის განყოფილებაში, ორმა წარმომადგენელმა გაიარა 2 კვირიანი სტაჟირება ავსტრიის კონკურენციის უწყებაში, ხოლო ერთმა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						განყოფილებაში. ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ბრიუსელში, ევროკავშირის კონკურენციის გენერალურ დირექტორატში, კონკურენციის სააგენტოს 7 თანამშრომლის მონაწილეობით. კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებმა ასევე წარმატებით გაიარეს პროგრამა „სტატა“ თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET-ში.
მომსახურებით ვაჭრობა						
საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლებისთვის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ზომების გატარების უზრუნველყოფა **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 129**	ელექტრონული კომერციის კანონის პროექტის შემუშავება და ევროკავშირთან ელექტრონული კომერციის სფეროს შემდგომი განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის გაგრძელება	სამართლებრივი ჩარჩო	ევროპული რეგულაციების შესაბამისი ელექტრონული კომერციის სამართლებრივი ბაზის შემუშავება	შემუშავებული საქართველოს კანონის პროექტი "ელექტრონული კომერციის შესახებ"	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შემუშავებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ.“ USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის (G4G)“ პროექტის დახმარებით შერჩეულია ექსპერტი, რომელიც შეისწავლის კანონპროექტის ევროდირექტივებთან შესაბამისობას. საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროექტის შემდგომი დახვეწა, რის შემდგომაც კანონპროექტი დადგენილი წესით წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში.
მომსახურებებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 103; დანართი XV-C, საფოსტო და**	"ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მოდიფიცირება/დახვეწა, მისი თანამდევი კანონპროექტების შემუშავება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა	სამართლებრივი ჩარჩო	შემუშავებული ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი საფოსტო სფეროს სამართლებრივი ბაზა. საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.	საქართველოს კანონის პროექტი "ფოსტის შესახებ" წარდგენილია საქართველოს პარლამენტში	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წელს EBRD-ს საგრანტო დახმარების ფარგლებში დასრულდა პროექტი „Georgia: Review of Postal Regulatory Framework“, რომლის შესაბამისად შემუშავებულია საქართველოს კანონის პროექტი "ფოსტის შესახებ". კანონის პროექტი გაგზავნილია ევროკომისიაში კომენტარებისთვის. რის შემდეგაც, კანონის პროექტი და მისი თანმდევი კანონპროექტები გაიგზავნება სახელმწიფო პროცედურების გასავლელად და წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული წესები.						
უნივერსალური საფოსტო მომსახურებებისა და საფოსტო სფეროს პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, თავი 6 - დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია**	სამთავრობო უწყებებსა და სფეროში ჩართულ სუბიექტებთან უნივერსალური საფოსტო მომსახურებების და საფოსტო სფეროს პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საჯარო განხილვის მოწყობა.	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	ამაღლებული საზოგადოებრივი ცნობიერება საფოსტო ბაზრის შესახებ.	ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობა და მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წლის 17 -18 ივლისს სამთავრობო უწყებებსა და სფეროში მოქმედ კერძო სექტორთან გაიმართა საქართველოს კანონის პროექტის „ფოსტის შესახებ“ პრეზენტაცია და საჯარო განხილვა, რომელიც ასევე მოიცავდა უნივერსალური საფოსტო მომსახურებების და საფოსტო სფეროს პოლიტიკის ძირითად მიმართულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ**	საქართველოს არსებულ კანონმდებლობასა და **პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების** შესახებ დირექტივას შორის არსებული შეუსაბამობების შესაბამისად კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების პროექტის მომზადება.	სამართლებრივი ჩარჩო	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოვებულია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან	მომზადებული ცვლილებების პროექტი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადდა საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების პროექტი. პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდა ევროკომისიას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
შეთანხმების; კარი IV , დანართი XV-B; სატელეკომუნიკაციო მომსახურეობისათვის განსაზღვრული წესები	საქართველოს კანონმდებლობის 2002 წლის 7 მარტის **ავტორიზაციის შესახებ დირექტივას**თან დაახლოვების მიზნით ცვლილებების პროექტის მომზადება.	სამართლებრივი ჩარჩო	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოვებულია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან	მომზადებული ცვლილებების პროექტი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადდა საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების პროექტი. პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდა ევროკომისიას.
	საქართველოს კანონმდებლობასა და **დაშვების შესახებ დირექტივას** შორის არსებული შეუსაბამობების შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება.	სამართლებრივი ჩარჩო	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოვებულია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან	მომზადებულიცვლილებების პროექტი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადდა საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების პროექტი. პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდა ევროკომისიას.
	საქართველოს კანონმდებლობასა და **ჩარჩო დირექტივას** შორის არსებული შეუსაბამობების შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება.	სამართლებრივი ჩარჩო	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოვებულია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან	მომზადებულიცვლილებების პროექტი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადდა საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების პროექტი. პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდა ევროკომისიას.
	საქართველოს კანონმდებლობის შედარება 2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/22/EC დირექტივასთან უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ	სამართლებრივი ჩარჩო	კანონმდებლობის და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივის მიმოხილვა/ შედარება.	შეუსაბამობების შესახებ მომზადებული ანგარიში	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადდა უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივისა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას შორის შეუსაბამობების დოკუმენტი. ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა საკანონმდებლო ცვილელბების სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	(უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/136/EC დირექტივით.					
ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში						
დამოუკიდებელი მარეგულირებელი უწყებების შექმნა, რომელიც აღჭურვილი იქნება ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ბაზრების რეგულირების უფლებით. ეს მარეგულირებელი უწყება უნდა იყოს იურიდიულად განცალკევებული და ფუნქციონალურად დამოუკიდებელი ერთეული სხვა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო საწარმოსაგან, ბაზარის მონაწილისა თუ ოპერატორისაგან. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 215; პარაგრაფი 1.მარეგულირებელი უწყებები**	ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის მიღება	სამართლებრივი ჩარჩო	ენერგეტიკული სექტორის, ბაზრის მონაწილეების ეფექტიან რეგულირება, ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურებისა და პირობების დანერგვა	სემეკის მიერ დამტკიცებული ერთიანი საბუღალტრო - სააღრიცხვო სისტემა	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მიიღო „ელექტროენერგეტიკის სექტორში ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დამტკიცების შესახებ“ N43 დადგენილება. ამ დადგენილებით დამტკიცდა: 1. ანგარიშთა გეგმის ინსტრუქციები; 2. ანგარიშთა გეგმა; 3. შემოსავლების საბუღალტრო კომპონენტებისა და ხარჯების სახელმძღვანელო ინსტრუქციები; 4. შენატანების და გრანტების სახელმძღვანელო ინსტრუქციები; 5. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელო ინსტრუქციები; 6. ანგარიშგების ფორმების ინსტრუქციები; 7. ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტის ანგარიშგების ფორმა; 8. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიანტის ანგარიშგების ფორმა; 9. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ანგარიშგების ფორმა; 10. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის ანგარიშგების ფორმა (განაწილება, ქსელი); 11. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის ანგარიშგების ფორმა (განაწილება, მიწოდება); 12. ორი ან ორზე მეტი რეგულირებადი საქმიანობის განმახორციელებელი ლიცენზიანტის ანგარიშგების ფორმა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ენერგეტიკული ტრანსპორტირების სისტემებზე დაშვება და ვაჭრობის ხელშეწყობა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 217**	ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესების მიმოხილვის პირველადი ვერსიის მომზადება	სამართლებრივი ჩარჩო	ენერგეტიკული სექტორის, ბაზრის მონაწილეების ეფექტიანი რეგულირება, ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურების და პირობების დანერგვა	მომზადებული ბაზრების მონიტორინგის წესების მიმოხილვის პირველადი ვერსია	ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)	მომზადდა ბაზრის მონიტორინგის წესების მიმოხილვის პირველადი ვერსია
	მარეგულირებელი აუდიტის წესების მიმოხილვის პირველადი ვერსიის მომზადება	სამართლებრივი ჩარჩო	ენერგეტიკული სექტორის, ბაზრის მონაწილეების ეფექტიანი რეგულირება, ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურების და პირობების დანერგვა	მომზადებული მარეგულირებელი აუდიტის წესების მიმოხილვის პირველადი ვერსია	ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)	მომზადდა მარეგულირებელი აუდიტის წესების მიმოხილვის პირველადი ვერსია
	ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის წესების მომზადება და მიღება	სამართლებრივი ჩარჩო	ენერგეტიკული სექტორის, ბაზრის მონაწილეების ეფექტიან რეგულირება, ქსელის განვითარების, მართვის,	სემეკის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის წესები	ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)	მომზადდა მიწოდების საიმედოობის წესების პროექტი, რომლის მიღების ვადად განსაზღვრული იყო 2017 წლის 31 დეკემბერი. დოკუმენტის განხილვის პროცესში გამოიკვეთა აღნიშნული წესების „მომსახურების კომერციული ხარისხის წესებთან“ გაერთიანების საჭიროება. შესაბამისად, საჭირო გახდა ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის მომარაგების საიმედოობის, ისე მომსახურების კომერციული ხარისხის მარეგულირებელ ნორმებს. აღნიშნულის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურებისა და პირობების დანერგვა			გათვალისწინებით, შემუშავდა მომსახურების ხარისხის წესების პროექტი. ამჟამად მიმდინარეობს მისი განხილვა კომპანიების წარმომადგენლებთან.
	ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობების დამტკიცება	სამართლებრივი ჩარჩო	ენერგეტიკული სექტორის, ბაზრის მონაწილეების ეფექტიანი რეგულირება, ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურებისა და პირობების დანერგვა	სემეკის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობები	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)	2017 წლის 19 მარტს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის N17/9 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობები.
ოპერატორების ვალდებულებები ტრანზიტთან მიმართებაში. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 214**	ავარიული სიტუაციების საგანგებო ზომების შემუშავების საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობა	სხვა	საგანგებო სიტუაციებში გადამცემი ქსელის ოპერატორებთან კოორდინირებული მუშაობა	ჩატარებული მინიმუმ 2 შეხვედრა	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	სამინისტროების სტრუქტურული გარდაქმნის გამო ეს აქტივობა განხორციელდება 2018 წელს.
ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე, ასევე თხევადი ბუნებრივი აირისა და სასაწყობო საშუალებებზე მესამე მხარის დაშვების სისტემის განხორციელება,	მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის სისტემის (SCADA) პროგრამის განახლება	სხვა	გაუმჯობესებული ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვა/კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს ქსელზე	განახლებული მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის სისტემის (SCADA) პროგრამა	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ (სსე)	SCADA-ს განახლების პროექტის ხელშეკრულება გაიგზავნა მსოფლიო ბანკში და მიმდინარეობს მისი განხილვა. აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება 2018 წელს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
რომელიც ვრცელდება ყველა მომხმარებელზე და არის გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 217**			ხელმისაწვდომობას			
ენერგეტიკული ბაზრების ოპერირება კონკურენტული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრადი პირობების მისაღწევად საწარმოთა დისკრიმინაციისა არ დაშვება და მათ უფლებებსა თუ ვალდებულებებთან მიმართებაში. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 216; პარაგრაფი 1**	პირველი ეტაპის დაწყება, იმ გარემოებების შესწავლა რომელიც გავლენას იქონიებს კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის შექმნაზე	სხვა	კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის შექმნა და ევროკავშირის კანონმდებლობისა და რეგიონულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან დაახლოება	შემუშავებული ბაზრის ახალი მოდელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	მიმდინარე წლის განმავლობაში მომზადდა კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის გარემოებების შემსწავლელი ანალიზი, რის საფუძველზეც დაიწყო მუშაობა საქართველოს ენერგეტიკულ სამართალზე (Energy Law). მისი მიზანია აღნიშნული ანალიზის და საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის, ენერგეტიკული ბაზრების ოპერირების გათვალისწინებით თანხვედრაში მოყვანა და ევროკავშირის ენერგეტიკულ საფუძვლებთან დაახლოება „ენერგეტიკული გაერთიანების“ ვალდებულებების შესაბამისად. 2018 წელს განხორციელდება აღნიშნული ღონისძიება.
ვაჭრობა და მდგრადი განვითარება						
ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობის ხელშეწყობა, რომელიც მიღებულია მწარმოებელი ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობისა და შესაბამისი ორმხრივი	საქართველოს კანონის "ტყის კოდექსის" საბოლოო ვერსიის შემუშავება	სამართლებრივი ჩარჩო	ტყის მდგრადი მართვა ხორციელდება სამართლებრივი მექანიზმებისა და უფლებამოსილებათა ეფექტური	შემუშავებული ტყის კოდექსის საბოლოო ვერსია	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ტყის კოდექსის კანონპროექტი დაეგზავნა სამთავრობო უწყებებს. მიღებული შენიშვნები და კომენტარები აისახა დოკუმენტში. სახელმწიფო უწყებებთან გაიმართა დამატებითი კონსულტაციები. 2017 წლის ივნისში გაიმართა ტყის კოდექსის შემუშავების მაკოორდინირებელი კომისიის სხდომა, რომელმაც შეიტანა საბოლოო ცვლილებები სამუშაო დოკუმენტში და გადაწყვიტა განახლებული ვერსიის შესახებ საჯარო განხილვის გამართვა. საჯარო განხილვა გადაიდო 2018 წლისთვის სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებების გამო.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
თუ რეგიონალური ხელშეკრულებების სრული დაცვით; **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 233; პარაგრაფი 2, a**			გამიჯვნის გზით; გაუმჯობესებულია ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები			
	ტყის ახალი კოდექსის თანმდევი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების - "ტყით სარგებლობის წესი", "ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესი" და "ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესი" საბოლოო პროექტების შემუშავება	სამართლებრივი ჩარჩო	ტყით სარგებლობის, ტყის მოვლის, აღდგენის, აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის საკითხების დარეგულირება	შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	შემუშავებულია "ტყით სარგებლობის წესის", "ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესის" და "ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის" პირველადი სამუშაო ვერსიები, რომელთა გადამუშავება ტყის კოდექსის კანონპროექტის სამუშაო ვერსიასთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაიწყება კოდექსის საჯარო განხილვისა და საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდგომ.
	სატყეო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტების შემუშავება	პოლიტიკის ჩარჩო	სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები განსაზღვრულია	შემუშავებულია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტები	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2017 წლის თებერვალში გაიმართა სატყეო რეფორმის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა. დაინტერესებულმა მხარეებმა სამინისტროს მოაწოდეს შენიშვნები და კომენტარები, რომლებიც აისახა დოკუმენტში.
ტყის მდგრადი მართვის შედეგად მიღებული მერქნისა და სამერქნე მასალის მოხმარების ზომების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობა აღნიშნული ზომების განვითარების მიზნით. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის**	სატყეო მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის მთავარი კომპონენტის შექმნა	ინფრასტრუქტურა	შემუშავებულია სატყეო მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემა და ტყესთან დაკავშირებული მონაცემები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის	ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციის მხარდამჭერი სისტემა (ვებ-პორტალი).	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	შემუშავებულია ინტერნეტ-ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა (ვებ-პორტალი). ვებ-პორტალის სრულყოფისა და გეოსაინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით, მიმდინარეობს სამინისტროს დარგობრივი ერთეულების საჭიროებების გამოვლენა. დასრულდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტყის ინვენტარიზაციისა და 10-წლიანი მართვის გეგმების სივრცულ და ატრიბუტულ მონაცემთა დამუშავება GIS სისტემაში მათი სტანდარტიზაციის მიზნით. ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე - http://geo.forest-atlas.org/.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 233; პარაგრაფი 2, b						
ტყის საფარის დაცვის; ტყის უკანონო ჭრასა და მასთან დაკავშირებულ ვაჭრობასთან ბრძოლის ხელშეწყობა, მათ შორის მესამე ქვეყნებთანაც. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 233; პარაგრაფი 2, c**	სატყეო სექტორის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სატყეო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის მიერ დამტკიცებული თვინინგის პროექტის „საქართველოში ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება“ ფარგლებში	ინსტიტუციური სისტემა	დაწყებულია: სატყეო სექტორის საკანონმდებლო ჩარჩოს ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის შეფასება; სატყეო სექტორის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეფასება; . სატყეო საქმიანობის უკეთ გაკონტროლებისა და წარმართვის მიზნით სატყეო ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება გამოცდილების გაზიარებისა და ტრენინგების მეშვეობით.	შერჩეული ექსპერტების მიერ დაწყებულია მუშაობა პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ აქტივობების განსახორციელებლად	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2017 წლის 1 ივნისს, ოფიციალურად დაიწყო პროექტის საჯარო სამსახურების დამმობილების (თვინინგი) პროექტის - „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ განხორციელება და პროექტის ამოცანების გაცნობის მიზნით, გაიმართა პირველი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩატარდა საკოორდინაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სატყეო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაღრმავებას. პროექტის ფარგლებში 2017 წლის მეორე ნახევარში განხორციელდა 39 მისია. ევროპელმა ექსპერტებმა შეაფასეს სატყეო სექტორის კანონმდებლობა, ინსტიტუციური ჩარჩო, პასუხისმგებლობის გადანაწილება და შეიმუშავეს პირველადი რეკომენდაციები. მათ აგრეთვე შეაფასეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების კომპეტენციის, უნარებისა და გადამზადების საჭიროება. 2017 წლის 24-27 ივლისს, ლიტვის სატყეო სექტორის ინსტიტუციური სტრუქტურის გაცნობის მიზნით, შედგა სამინისტროს 5 წარმომადგენლის სასწავლო ვიზიტი ლიტვაში. 2017 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგები და საჭიროებები. 2017 წლის 16-24 ოქტომბერს, ლიტვის სატყეო სექტორისა და ევროკავშირის მერქნული რესურსების რეგულაციის გაცნობის მიზნით, სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამმართველოს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ლიტვაში. 2017 წლის 25 ოქტომბერს ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში ორგანიზება გაუწია ჟურნალისტებთან საინფორმაციო შეხვედრას ტყისა და ტყის ხანძრების მართვის ევროკავშირის გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრაში

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მონაწილეობა მიიღო ლიტველმა ექსპერტმა, რომელმაც წარმოადგინა ხანძრების მართვის ლიტვური გამოცდილება. 2017 წლის 20-24 ნოემბერს, სატყეო პოლიტიკის სამმართველოს, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 5 თანამშრომელი იმყოფებოდა უნგრეთში ტყის მართვის დაგეგმვისა და სატყეო საქმიანობის განხორციელების პროცესის შესასწავლად. 2017 წლის 6 დეკემბერს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს მეორე შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგები და საჭიროებები. აგრეთვე, შეხვედრაზე ევროპელმა ექსპერტებმა ქართველ წარმომადგენლებს გაუზიარეს გამოცდილება ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების უკანონო მოპოვებისა და ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.
რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ხე-ტყის საფარის დაცვისა და ყველანაირი ტყის ტიპის მდგრადი მართვის ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 233; პარაგრაფი 2, f**	პარტნიორ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტის (ENPI) აღმოსავლეთ ქვეყნების ტყის კანონმდებლობის აღსრულებისა და მართვის II პროგრამის (FLEG II) ფარგლებში	პოლიტიკის ჩარჩო	ENPI/ FLEG II-ის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებში განხილული სატყეო სექტორში არსებული ძირითადი პრობლემები, მიზნები და განვითარების სამომავლო გეგმები	მონაწილეობა სულ მცირე 4 შეხვედრაში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ENPI/FLEG II-ის პროგრამა ოფიციალურად დასრულდა 2017 წლის დასაწყისში, რასთან დაკავშირებითაც 16-17 თებერვალს გაიმართა სამუშაო შეხვედრა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჩოხატაურის სატყეო უბნის ინვენტარიზაცია.
	მონაწილეობა რეგიონულ (RECC), ევროპულ (ევროპის ტყეები (FOREST EUROPE)) და გლობალურ (გაეროს ტყეების ფორუმი (UNFF)) ინიციატივებში	საერთაშორისო თანამშრომლობა	გაუმჯობესებული ტყის მდგრადი მართვა ტყის მოვლა-აღდგენისა და კონსერვაციის მიზნით	მონაწილეობა სულ მცირე 10 შეხვედრაში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტყის საკითხებთან დაკავშირებულ 8 შეხვედრაში შემდეგ თემებზე: გაეროს ტყეების ფორუმის (UNFF) ფარგლებში ტყეების შესახებ გაეროს განახლებული სტრატეგიული გეგმა და სამუშაო პროგრამა; ევროპის ტყეების მინისტრთა კონფერენციის (Forest Europe) ფორმატში სატყეო სექტორში მწვანე სამუშაო ადგილები და ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები; გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ ორგანიზებული სემინარი ტყის მდგრადი მართვის ეროვნული პრინციპების, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების შესახებ; კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) შეხვედრა "ტყის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						დეგრადაციით გამოწვეული გაფრქვევების შემცირების" პროგრამის (REDD+) შედეგებზე დაფუძნებულ გადასახადებსა და სამომავლო გეგმაზე. აღსანიშნავია 2017 წლის 25-26 იანვარს სლოვაკეთის ქ. ზვოლენში ევროპის ტყეების მინისტრთა კონფერენციის (Forest Europe) სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შეხვედრა, რომელზეც განიხილეს მწვანე სამუშაო ადგილების საკითხი და შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ პრეზენტაცია საქართველოში სატყეო განათლების სისტემისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. აგრეთვე, მნიშვნელოვანია „ევროპის ტყეების" პროცესის ფარგლებში 2017 წლის 28-29 ნოემბერს გამართული შეხვედრა, სლოვაკეთის რესპუბლიკის ქ. ბრატისლავაში, რომელიც მიზნად ისახავდა „ევროპის ტყეების" 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებასა და იურიდიულად სავალდებულო პროცესის ჩამოყალიბების შესაძლებლობების შეფასებას.
თევზის მარაგის მდგრადი და გონივრული მართვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და სავაჭრო ურთიერთობებში ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეების შორის თანამშრომლობა თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან; **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 234; e;**	ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM) თანამშრომლობა, კერძოდ, საქართველოს სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა არაწევრი თანამშრომელი ქვეყნის სტატუსის შესაბამისად	საერთაშორისო თანამშრომლობა	თევზ ჭერასთან დაკავშირებულ საკითხებში შესწავლილი საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება	მონაწილეობა სულ მცირე 4 შეხვედრაში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ GFCM-თან და მონაწილეობა მიიღეს შემდეგ შეხვედრებში: 1. 2017 წლის 26-27 იანვარს, იტალიის ქ. რომში, GFCM-ის შუალედური სტრატეგიის კომისიის სესიათაშორისი შეხვედრა (2017-2020 წწ.) ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის თევზჭერის მდგრადობის შესახებ; 2. 2017 წლის 27-29 მარტს, იტალიის ქ. რომში, GFCM-ის აკვაკულტურის კომიტეტის (CAQ) მე-10 სესია აკვაკულტურის მდგრადი განვითარების საკითხებზე შავი და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში; 3. 2017 წლის 2-5 მაისს, საბერძნეთის ქ. ათენში, უკანონო, აღურიცხავი და დაურეგულირებელი თევზჭერის (IUU) სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მცურავი საშუალებების მონიტორინგის და კონტროლის (VMS) საკითხებთან დაკავშირებით; 4. 2017 წლის 13-16 ივნისს, რუმინეთის ქ. კონსტანცაში, შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის მე-6 შეხვედრა შერჩეული თევზჭერის მართვის ღონისძიებების შესახებ, სადაც განიხილეს შავი ზღვის ქვეყნების ეროვნული ანგარიშები, BlackSea4Fish პროექტის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია, IUU-ის საკითხები, შავი ზღვის ეკოსისტემის შენარჩუნების ღონისძიებები, შავი ზღვის ქვეყნების ერთობლივი ქმედებების სათანადო კოორდინირების და GFCM-ის მიერ რეგიონის ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების საკითხები. შეხვედრაზე შემუშავდა დოკუმენტი - „ხმელთაშუა და შავი ზღვის

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თევზჭერის მდგომარეობა (SoMFi) 2018 წლისთვის“. 5. 2017 წლის 26-28 სექტემბერს, რუმინეთის ქ. კონსტანცაში, GFCM-ის და სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ეგიდით გამართულ შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის (WGBS) შეხვედრაში, სადაც განიხილეს შავი ზღვის რეგიონში აკვაკულტურის განვითარებისა და სადემონსტრაციო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები.
	შეთანხმების წერილის ხელმოწერა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის სახელით გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციას შორის პროექტზე "პასუხისმგებლიანი თევზჭერისა და მდგრადი აკვაკულტურის ტექნიკური დახმარება (ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) 2017-2020 შუალედური სტრატეგიის კონტექსტში)	საერთაშორისო თანამშრომლობა	თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორების წინასწარ შეთანხმებულ მიმართულებებზე მიღებული ტექნიკური დახმარება, მათ შორის პროექტების მომზადებისა და განხორციელების შესაძლებლობა	ხელმოწერილი შეთანხმების წერილი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები შეთანხმების წერილის პროექტთან მიმართებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდგომი რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა შეთანხმების წერილის განახლებული ვერსია და სრული დოკუმენტაცია კვლავ გადაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის განხორციელების მიზნით.
	შავ ზღვაში სარეწაო თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შემუშავების დაწყება	ინფრასტრუქტურა	შემუშავებული ა თევზჭერის ელექტრონული ჟურნალის მოდულები	შემუშავებული თევზჭერის ელექტრონული ჟურნალის მოდულები	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლობით შემუშავდა და შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიების ფარგლებში მოქმედ თევზსაჭერ მცურავ საშუალებებზე დამონტაჟდა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა. 2017 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ელექტრონული სარეწაო ჟურნალის წარმოება. სისტემა მოიცავს შემდეგ მოდულებს: ➢ თევზჭერის კვოტების მართვის მოდული; ➢ ლიცენზიანტებისა და ლიცენზიების მართვის მოდული; ➢ თევზმჭერი და სატრანსპორტო გემების აღრიცხვის მოდული; ➢ სარეწაო ჟურნალების მართვის მოდული; ➢ ანგარიშგება (რეპორტები). ელექტრონული მონიტორინგის სისტემის ტექნიკური მახასიათებლები და გამოყენების პირობები განისაზღვრა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკურ რეგლამენტში" (საქართველოს მთავრობის დადგენილება #423, 31.12.2013 წ.).
ამ მიზნით მხარეები თანხმდებიან მიიღონ სპეციალური ზომები, რათა ხელი შეუწყონ ტყის საფარის დაცვას; ებრძოლონ ტყის უკანონო ჭრასა და მასთან დაკავშირებულ ვაჭრობას, მათ შორის მესამე ქვეყნებთანაც. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 233; პარაგრაფი 2, c**	სატყეო სექტორში უკანონო საქმიანობის უკეთ გაკონტროლების მიზნით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება	ადამიანური რესურსები	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობები გაძლიერებულია მეტყევე-ინსპექტორების და დეპარტამენტის სხვა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების გზით	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სულ მცირე 250 თანამშრომელმა გაიარა შესაბამისი ტრენინგები	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი გარემოსდაცვით, ტყის ზედამხედველობის და კონტროლის საკითხებზე (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, 20-28 აგვისტო, 2016 წ.). გადამზადებული ტრენერების მიერ, 2017წლის 22-27 მაისს, გადამზადდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 50 თანამშრომელი. 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგები და გადამზადდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 190 თანამშრომელი. სულ ტრენინგი გაიარა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 240-მა თანამშრომელმა.
კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC) და კიოტოს პროტოკოლის ძირითად მიზნების მიღწევა. გაეროს კლიმატის ცვლილების	გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების პარლამენტში წარდგენა რატიფიკაციისთვის	სამართლებრივი ჩარჩო	გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმებით	"პარიზის შეთანხმება" რატიფიკაციის მიზნით წარდგენილია საქართველო	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2017 წლის 21 თებერვალს, გამოიცა საქართველოს მთავრობის N96 დადგენილება "პარიზის შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე". შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიკაციისათვის წარდგენის საჭიროება არ დამდგარა. პარიზის შეთანხმება საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2017 წლის 7 ივნისს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების ფარგლებში კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ჩარჩოს სამომავლო განვითარებაზე თანამშრომლობა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 230; პარაგრაფი 4**			ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დაწყება	ს პარლამენტში		
	"კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030" გზამკვლევის მომზადება	პოლიტიკის ჩარჩო	გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების ფარგლებში აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მოსამზადებელი სამოქმედო გეგმისთვის "კლიმატი 2021-2030" წინაპირობების შექმნა	მომზადებული სამოქმედო გეგმის "კლიმატი 2021-2030" გზამკვლევი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობის გაძლიერება ევროკავშირის კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებთან დაახლოებისთვის“ (Developing Capacities for Alignment with the EU Climate Targets in the Eastern Partnership Countries) ფარგლებში, დასრულდა "კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030" გზამკვლევის შემუშავება.
	ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედების დოკუმენტის მომზადება - „ბიომასის ეფექტური გამოყენება სოფლის მდგრადი განვითარებისთვის“	სხვა	ბიომასის ეფექტიანად გამოყენების პრაქტიკის, როგორც კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ქმედების დანერგვა	„ბიომასის ეფექტური გამოყენება სოფლის მდგრადი განვითარებისთვის“ პროექტი წარდგენილია NAMA Facility-ზე	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების ფონდის (NAMA Facility) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, დასრულდა პროექტის - „ბიომასის ეფექტური გამოყენება სოფლის მდგრადი განვითარებისთვის” სრულყოფა. პროექტი დაფინანსების მიღების მიზნით წარდგენილ იქნა NAMA Facility-ზე, თუმცა დაფინანსება ვერ მოიპოვა.
	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის (NDC) შემუშავების დაწყება	პოლიტიკის ჩარჩო	საქართველოს მიერ პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება	მომზადებულია ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტზე მუშაობა დაწყებულია. მიმდინარეობს საბაზისო, 1990 წლისთვის შესაბამისი ინფორმაციის გადამოწმების/გადათვლის პროცესი.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				სამუშაო ვერსია.		
ინფორმაციის გაცვლა შრომის კოდექსის იმპლემენტაციის თაობაზე, ასევე მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV; თავი 13 - ვაჭრობა და მდგრადი განვითარება**	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ჩართულობა ცნობიერების ამაღლების კამპანიებში	დაბეჭდილი და გავრცელებული საინფორმაციო ბროშურები სატელევიზიო სივრცეში გაშვებული სოციალური რეკლამა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ცნობიერების ამაღლების კამპანია ჩატარდა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებთან შემდეგ დაწესებულებებში: 1) 2017 წლის 18-19 მარტი - გურჯაანის რაიონში, სოფელ კაჭრეთში, სასტუმრო ამბასადორში, საქართველოს ფეროშენადნობთა ასოციაციის 20 წარმომადგენელთან გაიმართა 2 დღიანი ტრენინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. 2) 2017 წლის 1 აპრილი - თბილისში, საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის 15 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. 3) 2017 წლის 7 აპრილი - ხაშურის რაიონში სოფელ გომში LTD “Black Sea Group”-ის 20 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. 4) 2017 წლის 12-14 მაისი - ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 30 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. ▯ მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ხასიათის ტრიპლეტი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც კომპანიებს მიეწოდებათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	ბავშვთა შრომის პრევენცია საწარმოებში	ბავშვთა შრომის შემთხვევების შემცირება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2017 წლის სექტემბერში, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა, აჭარასა და გურიაში, გამართეს ერთობლივი სემინარი ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის, ბავშვთა იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომითი მიგრაციის საკითხებზე. სემინარზე მომხსენებლებმა განიხილეს საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციები და პრაქტიკული მაგალითები ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის შესახებ. 2017 წლის განმავლობაში, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიზნით შემოწმებულ 115 (მათ შორის 8 არაგეგმიური) კომპანიაში ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები/უკანონო შრომა არ დაფიქსირებულა.
გამჭირვალობა						

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას, გამჭვირვალობის ვალდებულებების იმპლემენტაციისთვის მომზადება და ამ კუთხით, საჭირო მექანიზმების ამუშავების შესაძლებლობის განხილვა. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება , კარი IV, თავი 12 - გამჭვირვალობა**	DCFTA-ის შესახებ ვებ-პორტალის შემდგომი განვითარება	სხვა	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირება და ამაღლებული ცნობიერება	ახალი ვებ-პორტალი DCFTA-ის შესახებ	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წლის 19 ივნისს ქ. თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ შეთანხმების საინფორმაციო ვებგვერდის (www.dcfta.gov.ge) პრეზენტაცია. ვებგვერდი შექმნა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით. ის, როგორც ერთგვარი პლატფორმა, მოიცავს DCFTA-სთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. მისი მიზანია DCFTA-ს შესახებ პრაქტიკული და საკანონმდებლო სახის, აგრეთვე სხვა საჭირო ინფორმაციის მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის შეუფერხებლად მიწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ DCFTA-ს საინფორმაციო ვებგვერდი დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდონ საკუთარი შენიშვნები ან წინადადებები DCFTA-ს ფარგლებში მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ. ვებგვერდს აქვს სპეციალური პორტალი - DCFTA ბიზნესისთვის, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ სასარგებლო ინფორმაცია ევროკავშირის შიდა ბაზრის შესახებ, იმ სახელმწიფო სერვისების შესახებ, რომლითაც ხდება ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობა, ექსპორტის პროცედურების, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების, სერთიფიკაციის, წარმოშობის წესების, საქართველო-ევროკავშირს შორის ვაჭრობის სტატისტიკის და სხვ. შესახებ.
	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	სხვა	DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და	DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის სულ მცირე 4 შეხვედრა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წლის 7 ივნისს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა DCFTA-ს საკონსულტაციო ჯგუფის მორიგი შეხვედრა. შეხვედრაზე, საკონსულტაციო ჯგუფის წესდების შესაბამისად, ჯგუფის წევრებმა აირჩიეს ახალი თავმჯდომარე, რომელიც უხელმძღვანელებს ჯგუფის მუშაობას მომავალი ერთი წლის განმავლობაში. შეხვედრის ფარგლებში ჯგუფის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია 2016 წლის განმავლობაში DCFTA-ს ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და ასევე გააცნო უახლესი მიღწევები DCFTA-ს სფეროში. ასევე, ჯგუფის წევრებს წარედგინათ DCFTA-ს შესახებ საქართველოს ეკონომიკისა

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			ინფორმირებულობის გაზრდა			და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული ახალი საინფორმაციო ვებგვერდი. 2017 წლის 17 ნოემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა DCFTA-ს საკონსულტაციო ჯგუფის მეხუთე შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში ჯგუფის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია DCFTA-ის განხორციელების 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ, განხილულ იქნა DCFTA-ის განხორციელების 2017 წლის 9 თვის ანგარიში. ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს გააცნო DCFTA-ის საინფორმაციო ცენტრების შესახებ ინფორმაცია.
ფართო საზოგადოებისთვის სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება, რომელთა მიზანიც იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციისა და დაახლოების პროცესის განმარტება. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება , კარი IV, თავი 12 - გამჭვირვალობა**	DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	სხვა	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა და ამაღლებული ცნობიერება	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წლის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და ევროკავშირის პროექტის "ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა" დახმარებით, კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში, ადგილობრივ მეწარმეებთან და ფერმერებთან ჯამში გაიმართა 6 შეხვედრა ქ. გორში (21 თებერვალი), ქ. მცხეთაში (24 აპრილი), ქ. ზუგდიდსა, ქ. ოზურგეთში (23 ივნისი), აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში (12 ივლისს) და სვანეთში (2 ოქტომბერი). შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მეწარმე/ფერმერმა. განიხილეს DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესი და დაკავშირებული საკითხები. მიეწოდათ ინფორმაცია DCFTA-ს ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების, აღნიშნულ პროცესში კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის მნიშვნელობის, ასევე სახელმწიფო-საგრანტო პროგრამებსა და ხელშეწყობასთან დაკავშირებული იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ადგილობრივ მეწარმეებს შესაძლებლობას მისცემს მეტი სარგებელი მიიღონ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში. 2017 წლის განმავლობაში გაიმართა 3 შეხვედრა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან და ოკუპირებული ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან და მიეწოდათ ინფორმაცია DCFTA-ს სარგებელზე, ვალდებულებებზე და მისი განხორციელების პროცესზე. შეხვედრები გაიმართა მარნეულში, ახალქალაქში და ზუგდიდში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის ტიპი	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ასევე ლევან მიქელაძის ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, რომელიც ითვალისწინებს შეხვედრებს საქართველოში მცხოვრებ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებზე. 2017 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში, საგამოფენო ცენტრ ექსპო ჯორჯიაში გამართულ მასშტაბურ გამოფენაში „Start in Georgia“, სადაც გამოფენის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში არსებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის შესახებ და ასევე, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ პროგრამებსა და ხელშეწყობასთან დაკავშირებულ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ადგილობრივ მეწარმეებს შესაძლებლობას მისცემს მეტი სარგებელი მიიღონ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით. ღონისძიებაში 5 000-მდე მეწარმემ მიიღო მონაწილეობა.
DCFTA-ს კოორდინაცია						
ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია.	DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	სხვა	DCFTA-ს განმახორციელებელ უწყებებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია და DCFTA-ს ვალდებულებების ეფექტური და დროული შესრულების უზრუნველყოფა	მინიმუმ 4 შეხვედრის გამართვა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წლის 13-15 ოქტომბერს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით, ბორჯომში, გაიმართა DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის სამდღიანი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში ქვეკომისიის წევრებმა კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს DCFTA-ის განხორციელების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია. 2017 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გამიმართა DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის მორიგი შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების სტატუსი, განხორციელების პროცესში არსებული სირთულეები.